# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 3-5 ოქტომბერი. 2020 წ. №124-125 (9050-9051) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ნოემრის მთავარი საზრისი

## ბიძინა ივანიშვილი:

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სახელმწიფოს ღერძად და უმთავრეს საზრუნავად ადამიანი აქცია!..

* * *

განვითარება და წინსვლა ქართველი კაცის ხასიათშია. ის ყოველთვის იყურებოდა წინ და არასოდეს არჩევანი წარსულის სასარგებლოდ არ გაუკეთებია...

* * *

„ქართულმა ოცნებამ“ იმის ნამდვილი მაგალითი აჩვენა, თუ როგორ უნდა დაუდგე ხალხს გვერდში, როგორ უნდა შეუმსუბუქო ყოფა და აგრძნობინო, რომ მარტო არ არის განსაცდელის პირისპირ... ამის დანახვა მხოლოდ ბრმას ან მხოლოდ მოძალადე რეჟიმს არ შეუძლია!..

* * *

რვა წელია, ვებრძვით სიღარიბეს და ბოლოს და ბოლოს, ამ პრობლემასაც დავძლევთ!..

* * *

„ქართული ოცნება“ ხალხს სთავაზობს პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური წინსვლა, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეცვალოს უკეთესობისკენ თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრება!..

* * *

წინამორბედი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ვალად აღებულ სახსრებს „ქართული ოცნება“ ხარჯავს შედეგიანად და პატიოსნად, არ ფლანგავს და, რაც მთავარია, არ იპარავს!..

# 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან 8 წლისთავზე ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც თავისუფლებას ბრძოლით მოპოვება აღარ სჭირდება

იხ. 2-3-4 გვ.




## ვახტანგ ვეფხვაძე: თუკი კაცს ერისთვის რაიმე სიკეთის ქმნა შეუძლია, უკან არ უნდა დაიხიოს!..

**ქართველი ერის სულიერი სიდიადის, ვაჟკაცური და ამავდროულად უფაქიზესი ბუნების, ამაყი და დამყოლი სულის ერთ-ერთი უმშვენიერესი გამოხატვა ხალხური ცეკვა რომაა, ამის კიდევ ერთხელ აღნიშვნა, ცოტა არ იყოს, იქნებ გარკვეულ უხერხულობასაც კი ჰქმნიდეს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში ამის უთქმელობაც არ ივარგებს.**

**იმის გვერდის ავლა კი, რომ მე-20 საუკუნეში წინაპართაგან გადმოცემული ამ ფასდაუდებელი განძის ახალი ელფერით აკიაფება, სულ ახლო წარსულის სამამულო კულტურის ორი უბრწყინვალესი ბურჯის — ბატონ ილიკო სუხიშვილისა და ქალბატონ ნინო რამიშვილის სახელებს უკავშირდება, სულაც წარმოუდგენელია.**

ქართული ხალხური ცეკვის ამ ორი კორიფეს მიერ შექმნილი ანსამბლის ამბავი აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, გასცდა ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიოს ყველა მხარეში გასაოცარი სანახაობებით განებივრებული ნატიფი გემოვნების მქონე მაყურებლების გულები სამუდამოდ დაიპყრო.

„ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი“ — ეს ანსამბლის ოფიციალური ტიტულია, შემოკლებით კი მას, ფაქტობრივად, დაარსების დღიდანვე, ყველანი „სუხიშვილებს“ ვეძახით და, დამეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, ესეც მეტად ნიშანდობლივია. ქართული ქორეოგრაფიული ფენომენის შესახებ აუარებელ დოკუმენტური კინო, ვიდეო და ფოტომასალა არსებობს, მის მოღვაწეობას და მსოფლიოს ყველაზე გამორჩეული თეატრებისა თუ დარბაზების სცენებზე ტრიუმფალურ წარმატებას ათიათასობით აღფრთოვანებული გამოხმაურება მოჰყვა. იმ აუარება ამაღლებული ეპითეტიდან, რომლებითაც პრესამ დასის მოღვაწეობა შეამკო, ახლა მხოლოდ ერთს მოვიგონებ — **„მსოფლიოს მერვე საოცრება“** — ასე უწოდა „სუხიშვილებს“ ავსტრალიურმა პრესამ.

იხ. 5 გვ.

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა 2020 წლის საარჩევნო პროგრამის წარდგინებაზე

## ბიძინა ივანიშვილი: 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან 8 წლისთავზე ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც თავისუფლებას ბრძოლით მოპოვება აღარ სჭირდება

**„დღეს პირველი ოქტომბერია, დღე, რომელიც უკვე ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ქართველი ხალხის ერთობის, თავისუფლებისა და გამარჯვების სიმბოლო. 2012-ში ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძოდით, შიშისგან, ჩაგვრისა და ძალადობისგან უნდა გვეხსნა ხალხი და ქვეყანა.**

**დღეს, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან 8 წლისთავზე ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც თავისუფლებას ბრძოლით მოპოვება აღარ სჭირდება, სადაც განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების გამო ადამიანებს აღარ დევნიან, სადაც ხელისუფლების შიში და ძალმომრეობა, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა, სადაც სახელმწიფო ადამიანისთვის არსებობს და არა პირიქით.**

დღეს ჩვენი პარტია – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ხალხს სთავაზობს პროგრამას, რომელმაც შეუქცევადი უნდა გახადოს, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა და მნიშვნელოვნად შეცვალოს უკეთესობისკენ თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრება.

პროგრამას დღეს „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები, ჩემი ახალგაზარდა კოლეგები წარმოგიდგენენ. მე კი თავს ვალდებულად მივიჩნევ, ერთგვარი ანგარიში ჩავაბარო ჩემს ხალხს და ვაჩვენო, სად ვიყავით 8 წლის წინ, როდესაც ხელისუფლება გადავიბარეთ და სად ვართ ახლა.

**რამდენადაც არასასიამოვნო მოსასმენი უნდა იყოს, ჩვენ უდავოდ ვალდებულნი ვართ, ობიექტურად შევაფასოთ და, არა მარტო ჩვენს ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს, საქართველოს ყველა მოკავშირესა და მეგობარს, კიდევ ერთხელ, პირუთვნელად და მიუკერძოებლად შევახსენოთ, როგორი დესპოტური და კაცთმოძულე ხელისუფლების პირობებში მოუწია ქართველ საზოგადოებას ცხოვრება, 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე, რა მემკვიდრეობა ჩავიბარეთ წინა ხელისუფლებისაგან, და რისი გაკეთება შევძელით განვლილი ურთულესი წლების განმავლობაში.**

მტკიცედ მჯერა, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, უამრავ დამპყრობელთან შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად გამომუშავებულმა გენეტიკურმა გამძლეობამ შეაძლებინა ჩვენს უშიშარ ხალხს, გაერთიანებულიყო, და „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, დაემარცხებინა რეჟიმი, რომელიც მომხდურ მტერზე არანაკლებ დაუნდობლად და სასტიკად ექცეოდა საკუთარ საზოგადოებას.

**მართლაც საოცარი ცინიზმია, როდესაც მრავალი სიმხეცის ჩადენით გადაგვარებული, მაგრამ იმავდროულად, საკმაოდ ცბიერი პოლიტიკური გუნდი, აბსოლუტურად უცვლელი შემადგენლობით, მოურიდებლად ცდილობს, კვლავაც მოატყუოს ხალხი და დაიბრუნოს შეუზღუდავი ძალაუფლება, რათა ახლა უკვე გაორმაგებული ძალისხმევით, პერსონალურად იძიოს შური ყველა იმ პატრიოტ ადამიანზე, ვინც 2012 წლის ოქტომბერში, თავისი წვლილი შეიტანა მათი ძალადობრივი მმართველობის დასრულებაში.**

მართლაც საოცარი ცინიზმია, როდესაც მრავალი სიმხეცის ჩადენით გადაგვარებული, მაგრამ იმავდროულად, საკმაოდ ცბიერი პოლიტიკური გუნდი, აბსოლუტურად უცვლელი შემადგენლობით, მოურიდებლად ცდილობს, კვლავაც მოატყუოს ხალხი და დაიბრუნოს შეუზღუდავი ძალაუფლება, რათა ახლა უკვე გაორმაგებული ძალისხმევით, პერსონალურად იძიოს შური ყველა იმ პატრიოტ ადამიანზე, ვინც 2012 წლის ოქტომბერში, თავისი წვლილი შეიტანა მათი ძალადობრივი მმართველობის დასრულებაში. გასული კვირების განმავლობაში, ჩვენ მოვისმინეთ ცრუ სინანულისა და თეატრალური თვალთმაქცობის სამარცხვინო მაგალითები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათ, სინამდვილეში, ძალიან დაბალი წარმოდგენა აქვთ ქართველ საზოგადოებაზე და ფიქრობენ, რომ მარტივად და იოლად მოახერხებენ ხალხის ემოციებით და გრძნობებით მანიპულირებას.

სწორედ ამიტომ, ფუნდამენტურად წარმოუდგენელია ჩვენი ხალხის, მისი კულტურის, ტრადიციების, მსოფლმხედველობისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის თანაარსებობა.

ჩვენი მეხსიერებიდან ვერავინ წაშლის უამრავი უდანაშაულოდ მოკლული ახალგაზრდის და დემონსტრაციულად დახვრეტილი ადამიანების სახეებს.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება წლები, როდესაც ადამიანების ღირსების ფეხქვეშ გათელვა, მათი აბუჩად აგდება, დაშინება, უსაფუძვლოდ ციხეებში გამოკეტვა, ულმობელი წამება და დასახიჩრება, ბიზნესის დაწიოკება და საკუთრების წართმევა ცხოვრების ჩვეულებრივი, ნორმად ქცეული მოვლენა იყო.

ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება, ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის გაუკუღმართების, ჩვენი კულტურული თვითმყოფადობის წაშლისა და საქართველოს ისტორიის თავიდან გადაწერის ავადმყოფური წყურვილი, ოჯახის ფენომენზე გააფთრებული იერიშის, ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საყრდენის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებისა და დაქსაქსვის გამუდმებული მცდელობები.

ჩვენ ყველას გვახსოვს, ბედის ანაბარად მიტოვებული ქართული სოფელი.

დავიწყებას ვერ მიეცემა დრო, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნდა არანაირი თანაგრძნობა და სოციალური სოლიდარობა საკუთარი ხალხისადმი, დრო, როდესაც მოქალაქეების უმეტესი ნაწილი იძულებული იყო, უკანასკნელი საოჯახო ნივთებიც კი გაეყიდა მკურნალობისთვის – როდესაც მეტ-ნაკლებად მძიმე სამედიცინო დიაგნოზი, პრაქტიკულად, სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

ჩვენ, არასდროს დაგვავიწყდება ხელისუფლების ბოროტი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი, ნოტარიუსად ქცეული და დაჩოქებული სასამართლო, ნამდვილი სამართლებრივი წყვდიადი, გაუქმებული მართლმსაჯულება და გაუქმებული ადვოკატის პროფესია, ტერორში მყოფი პოლიტიკური ოპოზიცია, უხეშად გაყალბებული არჩევნები, დემოკრატიული კონტროლისა და ხელისუფლების ბალანსის არმქონე, დამახინჯებული კონსტიტუცია, ერთი კაცის ვნებებისა და სურვილების შესაბამისად განაწილებული საბიუჯეტო სახსრები; მიტაცებული, უსიცოცხლო და გარინდებული მედია, პირადი ცხოვრების გამჟღავნების უწყვეტი მუქარები და შანტაჟი, უკანონოდ დაპატიმრებული ჟურნალისტები, შეურაცხყოფილი მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, სპორტსმენები და ჩვენი საზოგადოების სხვა სასიქადულო და თვალსაჩინო წარმომადგენლები.

**გვახსოვს ის ხელისუფლება, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ახლომხედველობის გამოისობით, თავიდან ვერ აიცილა სამხედრო ავანტიურა და გაუაზრებელი მოქმედებებით ქვეყანას ტერიტორიის ოცი პროცენტი დააკარგვინა, რამაც გაართულა ჩვენი ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი.**

მეხსიერებიდან ვერასდროს ამოიშლება ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცეული მთავარსარდალი და უპატრონოდ მიტოვებული ჩვენი გმირი ჯარისკაცების ცხედრები, საკუთარი სახლ-კარიდან გამოყრილი მოსახლეობა.

მსურს, ასევე შეგახსენოთ, იმდროინდელი სამართალდამცავი სისტემის უკიდურესი თვითნებობა, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მათი არაპროპორციული და მავნებელური გავლენა, რამაც ბევრი ქართული ოჯახის პირადი ტრაგედია განაპირობა.

მინდა ჩვენს საამაყო მეწარმეებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად იქმნება საქართველოს ეკონომიკა და დოვლათი, შევახსენო, რა მდგომარეობაში იყო ბიზნესი და როგორ ეპყრობოდნენ თითოეულ მათგანს, საგანგებოდ შექმნილი სადამსჯელო სახელმწიფო ინსტიტუტები. ბიზნესისთვის ის პერიოდი იყო მართლაც ჯოჯოხეთი დედამიწაზე.

რეჟიმმა ქვეყანაში დაამკვიდრა, პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული, მანამდე არნახული, მძლავრი კორუფციული სისტემა, კლასიკური კლეპტოკრატია, როდესაც ხელისუფლებასთან უშუალოდ დაკავშირებული რამდენიმე მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში თავმოყრილი იყო, ეკონომიკის თითქმის ყველა შემოსავლიანი სექტორი. ვინც კი გაბედა, რაიმე ფორმით წინააღმდეგობა გაეწია ამ მანკიერი ფინანსური წესრიგისთვის, მყისიერად დააპატიმრეს და იძულებით ჩამოართვეს ქონება.

ერთ დროს წარმატებული და აყვავებული არაერთი ბიზნესი უბრალოდ მოსპეს და გააჩანაგეს. ხალხის ძარცვით მიღებული ასეულობით მილიონი კი ილექებოდა უცხოურ ბანკებში მათ საგულდაგულოდ გადამალულ ანგარიშებზე. სწორედ ამ დანაშაულებრივი თანხებით ფინანსდება მათი დღევანდელი პოლიტიკური აქტიურობა.

ეს ჩამონათვალი უსასრულოდ შეგვიძლია გავაგრძელოთ, რადგან სამწუხაროდ, არ არსებობს ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა სფერო, რომელიც გადაურჩა წინა ხელისუფლების მავნებელური ზემოქმედებისა და დამანგრეველი მმართველობის შედეგებს.

მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ჩვენს უახლეს წარსულთან დაკავშირებით, საზოგადოების კონსენსუსი ერთმნიშვნელოვნად შემდგარია და რევიზიას არ ექვემდებარება. იმდენად დიდია მიყენებული ტკივილი და ტრავმები, რომ ამის გამოდევნა ქართველი ხალხის მეხსიერებიდან შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლების დაკარგვის დღიდან, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო ფიქრი რევანშზე, რომლის განხორციელებისთვის, ისევ იმ მრავალნაცად ხერხს მიმართეს, რომელსაც მართლაც სწორუპოვრად ფლობენ და რომლის ხარჯზეც ინარჩუნებდნენ 9 წლის მანძილზე ხელისუფლებას – სიცრუე და ძალადობა, დაუსრულებელი ცილისწამება და ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ფიზიკურს ჩაენაცვლა.

მათ შეიმუშავეს მთელი კონცეფცია, რომლის მიხედვით საკუთარი დანაშაულებრივი მმართველობის შედეგად ქვეყნისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი მოჩვენებითი აღმშენებლობის პროპაგანდით და მათი ეგრეთ წოდებული ეფექტურობით უნდა გამართლებულიყო, ხოლო „ქართული ოცნება“ წარმოჩენილიყო არაკომპეტენტურ და არაფრისშემძლე ერთობად.

**ასე დაიწურა მათი პროპაგანდისტური მოძღვრება, ერთ მარტივ ტერმინში – „უნიათობა“, რომელიც უნდა ძცეულიყო „ქართული ოცნების“ მთავარ მახასიათებლად, ზედსართავ სახელად, რათა მომხდარიყო მმართველი გუნდის დისკრედიტაცია.**

**მათ წლები მოანდომეს ამ ეპითეტის დამკვიდრებას. ამოცანა ცხადი და კონკრეტული იყო – რაკი ვერაფერი გაათეთრებდა „ნაციონალური მოძრაობის“**

# ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**წარსულს, ამიტომ უნდა გაშავებულიყო „ძართული ოცნება“. ამ ორ ძალას შორის კი ძართველ ხალხს უნიათოს ნაცვლად, შედეგიანი უნდა აერჩია.**

სიცრუეში დახელოვნებულებმა, საკუთარი შანსი ჩვენს სიმართლეში დაინახეს: ჩვენ არ ვიტყუებოდით და მათსავით, სამსამჯერ არ ვხსნიდით რომელიმე ხიდს თუ საწარმოს; წითელ ლენტს არ ვჭრიდით თითო კილომეტრ დაგებულ გზაზე; არ ვპირდებოდით ხალხს მილიონიანი ქალაქების ორ წელიწადში აშენებას და საუკუნის პროექტებს არ ვარქმევდით მათ; ვიწრო კოშკში ჩადგმულ საბავშვო ატრაქციონს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტად არ ვასაღებდით; არ ვაშენებდით მოჩვენებით კეთილდღეობას. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწორებდით მათ გამრუდებულს და ამიტომ შეგვრაცხეს უნიათოებად.

თუმცა, მათ გასაკვირად სიცრუემ არ იმუშავა. გამჭრიახმა ქართველმა ხალხმა სატყუარა არ მიიღო და ზედიზედ ხუთ არჩევნებში უარი უთხრა „ნაციონალურ მოძრაობას“ მართვის სადავეების დაბრუნებაზე.

პერმანენტული მარცხით გაწბილებულებმა და ხელმოცარულებმა სხვა გზა რომ ვერ ნახეს, ბოროტად ისარგებლეს ხელისუფლების უნებლიე შეცდომის გამო აღელვებული ახალგაზრდობის გულწრფელი პროტესტით და მათ ხარჯზე სცადეს ძალაუფლების არალეგიტიმური გზით დაბრუნება — საქართველოს პარლამენტზე მიიტანეს ძალადობრივი შტურმი.

სახელმწიფომ გაუძლო ამ გამოწვევას და აღკვეთა ამბოხი, რასაც შედეგად, ჩვენდა სამწუხაროდ, ათეულობით დემონსტრანტის და სამართალდამცავის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. იყო სამწუხარო გადაცდომებიც, ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებასაც.

სწორედ ამ ფონზე შემოიტანა ნაციონალურმა პროპაგანდამ, ჩაფლავებული „უნიათობის“ პარალელურად, ტერმინი — „სისხლიანი რეჟიმი“ — დამნაშავემ მსხვერპლის მანტია მოირგო და დიქტატურასა და ტირანიაზე ურცხვად ალაპარაკდა.

არც ამან იმუშავა. ხალხის მოტყუება კვლავაც ვერ შეძლეს.

მერე, როგორც ჩანს, თავადვე აღმოაჩინეს, რომ „უნიათო ტირანია“ ლოგიკურად არათავსებადი ცნებების ნაზავი და საღ აზრთან წინააღმდეგობაში მყოფი ნამდვილი აბსურდი იყო და ისევ ძველ ტაქტიკას დაუბრუნდნენ.

ოღონდ ერთი შესწორებით — თუკი ადრე, ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის სუსტი და იოლად უარსაყოფი არგუმენტები მაინც მოჰყავდათ, აპელირებდნენ ციფრებით, პროცენტებით, მანიპულირებდნენ სტატისტიკით, დღეს ამაზეც უარი თქვეს. ფაქტი, მოვლენა და არგუმენტი საერთოდ გაქრა მათი რიტორიკიდან. დარჩა მხოლოდ იარლიყი და დაუსაბუთებელი ბრალდება, როგორც ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია.

**და რადგან დღეს აღარ გააჩნიათ ფიზიკური ტერორის ბერკეტი, ახლა ნამდვილ მორალურ ტერორს უწყობენ ჩვენს ხალხს — ცდილობენ, დათესონ შიში, სასოწარკვეთა და უიმედობა. რას აღარ აგონებენ ხალხს, რომ თითქოს გაჩერდა ეკონომიკა, თითქოს გაჩერდა მშენებლობა, თითქოს ჩამოშლილია პოლიცია, თითქოს წაგვლეკა კრიმინალმა და ისევ 90-იანებში აღმოვჩნდით, თითქოს შეჩერებულია ევროინტეგრაცია და ძვეყანა კორუფციის ჭაობშია ჩაფლული, რომ თითქოს არ არსებობს სასამართლო და დაინგრა ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, თითქოს განვითარება შეჩერებულია, თითქოს ძვეყანა კატასტროფისკენ მიეძანება და საერთოდ, რა დღიდანაც ისინი აღარ არიან ხელისუფლებაში, ძვეყანა უფსკრულშია.**

„ჭაობი“, „დაღუპვის წინაშე მდგარი ქვეყანა“, „უპერსპექტივო აწმყო“, — უხვად იფრქვევა, უპრეცედენტოდ თავისუფალი მედია-გარემოს წიაღში აღმოცენებული, მათი მრავალრიცხოვანი პროპაგანდისტული პლატფორმებიდან.

**პრინციპში, არც გაემტყუნებათ — პრობრესი იმდენად თვალსაჩინოა ყველა სფეროში, რომ სრულიად განიარაღებულებს თავად აღარ აწყობთ სტატისტიკაზე საუბარი, რადგან თვალს ვერ უსწორებენ ფაქტებს.**

ჩვენ გავუსწოროთ:

**მაშ ასე, — 2012 წლიდან დღემდე, მართლმსაჯულების სისტემაში:**

**ექვსჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა და დავიწყებას მიეცა 99%-იანი გამამტყუნებელი განაჩენების ყოვლად სამარცხვინო პრაქტიკა;**

**თითქმის განახევრდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი;**

**160 %-ით გაიზარდა არასაპატიმრო სასჯელის — ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი;**

**70 %-ით შემცირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხვი;**

**35-ჯერ გაიზარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის ზომად გამოყენების მაჩვენებელი;**

**25 ათასით შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც საერთო სასამართლოების მიერ დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;**

**სამჯერ შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;**

**200-ჯერ გაიზარდა პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;**

**8-ჯერ შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა.**

**ეს მშრალი სტატისტიკაა, მხოლოდ ციფრები, და არა სუბიექტური ხედვა ან შეფასება.**

**ახლა ვნახოთ, დარჩა თუ არა შეუმჩნეველი ქართული სასამართლო სისტემის ასეთი საგრძნობი ტრანსფორმაცია, უმაღლესი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს?**

შედეგები ამ მხრივ მართლაც შთამბეჭდავია, კერძოდ:

**ზედიზედ მეორე წელია, მსოფლიოს მოწინავე კვლევითი ორგანიზაციისა და ვაშინგტონის წამყვანი ანალიტიკური ცენტრის — „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ კვლევის თანახმად, საქართველოს სასამართლო სისტემა, ეფექტიანობით, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 პოზიციაზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში, პირველ ადგილს იკავებს.**

იმავდროულად, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სასამართლო პროცესების ხარისხის და სასამართლოს მიუკერძოებლობის პარამეტრებით, საქართველოს სასამართლო სისტემა უსწრებს ესპანეთს, იტალიას, პოლონეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, უნგრეთს, მალტას, ლატვიას, საბერძნეთს, კვიპროსს, რუმინეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის“ მიხედვით, საქართველო, საზოგადოების დაცულობის მაჩვენებლით, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-16 ადგილზეა, ხოლო ორგანიზებული დანაშაულისგან თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში 25-ე ადგილზე, ევროპის საუკეთესო ოცეულში კი, მე-14 პოზიციას იკავებს მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების მმართველობის დროს, 2012 წელს, ამ პარამეტრში 75-ე ადგილით, მსოფლიოს ყველაზე მაფიოზური ქვეყნების ჯგუფს მივეკუთვნებოდით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, საქართველო ე.წ. „შავ სიაში“ ჰყავდათ შეყვანილი და მხოლოდ 2013 წლიდან დაიწყო საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნად“ აღიარების პროცესი, სადაც დაცულია ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სადაც პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეები არ იდევნებიან. დღეს ამ სახელმწიფოთა 90 პროცენტი საქართველოს „უსაფრთხო ქვეყნად“ აღიარებს.

ეს არის რეალობა, რომელსაც, როგორც დარწმუნდით, ჩვენთან ერთად საერთაშორისო მონიტორებიც ერთხმად აღიარებენ. ერთადერთი ძალა, რომელიც ამ სიმართლეს გაურბის „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი პროპაგანდაა, რომელიც ჯიუტად არ იმჩნევს ესოდენ თვალსაჩინო პროგრესს, რადგან ქვეყნის წარმატებას საკუთარ უბედურებად მიიჩნევს.

„ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მთლიანად შეცვალა პოლიტიკური ფილოსოფია და სახელმწიფოს ღერძად, უმთავრეს საზრუნავად, ადამიანი აქცია. სწორედ ამიტომ, ერთი კაცის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე მორგებული, მახინჯი კონსტიტუციის ნაცვლად, ახალი, ჭეშმარიტად ევროპული სტანდარტის კონსტიტუცია მივიღეთ, რადგან ეს არის ევროპული გზა, ნამდვილი ევროპული ღირებულება, — დემოკრატია სხვა ღირებულებას უბრალოდ, არ იცნობს.

სწორედ ამიტომ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, ჯანდაცვაზე, სოციალურ მხარდაჭერაზე, უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნაზე ჯერადობით მეტ სახსრებს მიმართავს, ვიდრე ოდესმე დახარჯულა. სურათის ნათლად წარმოსაჩენად, მოდით, ისევ მოვიხმოთ სტატისტიკა და დავინახოთ განსხვავება:

**რეჟიმის ცხრაწლიანი მმართველობის დროს ჯანდაცვაზე სულ 2 მილიარდ 700 მილიონი ლარი დაიხარჯა, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში — 8 მილიარდ 100 მილიონი ლარი ანუ 3-ჯერ მეტი.**

**ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის. ასევე გაიზარდა და პრაქტიკულად გაორმაგდა მოსახლეობის სოციალური დახმარებები. ბოლო შვიდ წელიწადში, სოციალურ დახმარებებზე მიმართულია 2 მილიარდ ლარზე მეტი მაშინ, როცა წინა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ 820 მილიონი ლარი იყო დახარჯული. გაორმაგებულია პენსიაც და ზრდა მოხდება ყოველწლიურად.**

**ჩვენ რვა წელია, ვებრძვით სიღარიბეს და მოვახერხეთ ოცწლიანი დაღმასვლის შეჩერება — 400 ათასამდე ჩვენი მოქალაქე ამოვიყვანეთ უკიდურესი სიღატაკიდან, თუმცა, კიდევ გვრჩება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 700 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე. ეს ძალიან დიდი რიცხვია. სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს პრობლემა ერთბაშად დავძლიოთ, მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, ერთიანობით, თავდაუზოგავი და პატიოსანი შრომით, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ჩვენ ამ პრობლემასაც წარმატებით დავძლევთ.**

**ისევე როგორც ხელნაწერები, არც ვიდეოარქივები იწვის, და ამიტომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია გადაამოწმოს ზემოთქმული.**

რამდენიმე სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხო სოფელს და სოფლის მეურნეობასაც შევეხო. ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და ასეც რომ არ იყოს, ეს მიმართულება ჩვენთვის მხოლოდ ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი როდია — ქართული სოფელი, განსაკუთრებით ქართული ვაზი და ქართული ღვინო, ჩვენი იდენტობის და მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

ღვინო ვახსენე და სადღეგრძელო რომ არ გამომივიდეს, მოდი, ისევ „ულმობელ“ სტატისტიკას მივენდოთ:

ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ქართული სოფლის ფეხზე დასაყენებლად 2 მილიარდ 500 მილიონ ლარზე მეტი ჩაიდო. წინა ხელისუფლებამ კი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, ქართული სოფლისთვის ოთხჯერ ნაკლები, მხოლოდ 650 მილიონი ლარი გაიმეტა.

ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ სოფლის მეურნეობისთვის გაწეული ხარჯები წყალში გადაყრილი ფულია. ამასობაში, რეალობა სულ სხვაა — სოფლები წელში იმართება, გლეხები ფერმერებად იქცნენ, სულ უფრო მეტი ადამიანი უბრუნდება სოფელს და თვალსაჩინოა გამოცოცხლების პროცესი — სამჯერ და მეტადაც არის გაზრდილი შედეგები სოფლის მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგში.

თავად განსაჯეთ:

2012 წლამდე, დამოუკიდებელი საქართველოს დროიდან მოყოლებული, ვენახების საერთო ფართობი 35 ათას ჰექტარს შეადგენდა.

2012 წლიდან სახელმწიფოს მიერ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გატარებული სწორი პოლიტიკის, დარგის მხარდაჭერისა და სისტემური რეფორმების შედეგად, მხოლოდ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში, ვენახების ფართობი 20 ათასი ჰექტარით გაიზარდა და 55 ათას ჰექტარს მიაღწია.

არ იფიქროთ, რომ თავის მოსაწონებლად და სატრაბახოდ მომყავს ეს რიცხვები. ქართველი კაცი ვაზს უნდა აშენებდეს, აბა რას უნდა აკეთებდეს და ნორმალური ხელისუფლებაც ამაში უნდა ეხმარებოდეს საკუთარ ხალხს. სტატისტიკა თვალსაჩინოებისთვის მომყავს მხოლოდ, სხვაობა რომ ნათლად დაინახოთ.

2012 წლამდე ყურძნის მოსავალი წლიურად 50-55 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. დღეს კი ეს მაჩვენებელი ექვსჯერ გაიზარდა და 300 ათას ტონას მიაღწია.

შესაბამისად, ჯერადობით გაიზარდა მევენახეების შემოსავლები, რაც ასევე ასახულია კონკრეტულ ციფრებში — მევენახეებმა, 2013 წლიდან დღემდე, ყურძნის რეალიზაციით, 1 მილიარდ 400 მილიონ ლარის შემოსავალი მიიღეს.

სხვათა შორის, რთველი ჯერ არ დასრულებულა და ყველა პროგნოზით, ეს რიცხვები კიდევ უფრო გაიზრდება.

**კახელი მევენახის ეს წარმატება — მთელი ქვეყნის წარმატებაა. ამ წარმატებით გამოწვეული სიხარულიც საყოველთაო უნდა იყოს თითქოს, მაგრამ სწორედ ამ წარმატებამ გამოიყვანა წყობიდან ნაციონალების პარტია, რომლის მთავარმა პროპაგანდისტმა ღრმად დაბუდებული სნეულება ვერ დაფარა და პირდაპირ ეთერში ქართული ღვინის წაბილწვით დაემუქრა გამრჯე კახელ გლეხს.**

**დამეთანხმებით, ეს ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა, შესაძლოა, ყველა სტატისტიკაზე უფრო მყარი.**

**ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, როცა მომხდური მტერი ჩვენს გადაშენებას და იდენტობის გაქრობას ლამობდა, პირველ რიგში ვაზს ჩეხდა. რას წარმოიდგენდა ჩვენი წინაპარი, რომ საქართველოს ოდესმე ეყოლებოდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც კახელ გლეხს აიძულებდა, საკუთარი ხელით აეჩეხა ვაზი. როდესაც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, წინა ხელისუფლება მტერზე არანაკლები სისასტიკით ექცეოდა საკუთარ ხალხს-მეთქი, რამაც ალბათ ბევრს მოჭრა ყური, ამ მოვლენასაც ვგულისხმობდი, სხვა ფაქტორებთან ერთად.**

**მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ეკონომიკას.**

ყველას კარგად გვახსოვს, რომ წლების განმავლობაში, მათი თავმოწონების და ტრაბახის ერთ-ერთი მთავარი საგანი ინფრასტრუქტურის, გზების და მაგისტრალების მშენებლობა იყო.

მოდით, ამ შემთხვევაშიც სტატისტიკას მივენდოთ:

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, ასეულობით მილიონი ლარი მოხმარდა გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას, რამაც ჯამში 3 300 კილომეტრზე მეტი შეადგინა.

იხ. 4 გვ.

**უმძიმესი მემკვიდრეობის, ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების და რყევების მიუხედავად, ჩვენ პირველი ხელისუფლება ვართ, ვინც ხანგრძლივად მოვახერხეთ, შეგვენარჩუნებინა მშვიდობა და სტაბილურობა, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს ქვეყნის გაძლიერების, დემოკრატიული განვითარების და შეუქცევადი წინსვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს.**

# ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: 2012 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ 8 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲖᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) საუკეთესო შედეგები გვაქვს ჩვენი მოსახლეობის წყალმომარაგებისა თუ ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის მიმართულებით. 2021 წელს ჩვენი მოსახლეობის 90%-ზე მეტი ისარგებლებს ბუნებრივი აირით, რაც ევროპის მასშტაბითაც კი ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

ზოგადად, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ჩვენ მიერ 8 წლის მანძილზე გაწეული ხარჯი, 6 მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენს და ორჯერ აღემატება წინა ხელისუფლების ცხრაწლიან პერიოდში გაწეულ ხარჯს.

წინა ხელისუფლებამ 9 წლის განმავლობაში, სულ 68 კილომეტრი ავტომაგისტრალი დააგო. ჩვენ კი მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე 70 კილომეტრამდე ჩქაროსნულ მაგისტრალურ გზას გავხსნით. შედეგად, 2013 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ჯამურად, 200 კილომეტრს, ანუ ორმაგი ბიუჯეტით თითქმის სამჯერ მეტს ვაკეთებთ.

**კარგად დაუკვირდით ამ რიცხვებს — საქმე მხოლოდ ინვესტიციის მასშტაბებში და დაგებული გზების რაოდენობაში როდია. პროგრესი აქ იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზედმეტ კომენტარს არც საჭიროებს, მაგრამ ელემენტარული არითმეტიკა იმასაც ხომ ცხადყოფს, რომ როცა ბიუჯეტის ნახევრით, მხოლოდ იმის მესამედ საქმეს აკეთებ, რაც შესაძლებელი ყოფილა, დანარჩენი ფული უბრალოდ მოპარულია.**

**არავისთვის უცხო არ არის, რომ სწორედ ინფრაქტრუქტურული პროექტების მილიარდიანი ბიუჯეტები წარმოადგენდა რეჟიმის მიერ შექმნილი ელიტარული კორუფციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს.**

ეს რომ ლიტონი სიტყვები ან სუბიექტური შეფასება არ არის, ამას შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგებიც ცხადყოფს. კერძოდ:

მსოფლიო ბანკის მიერ, 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების კვლევაში, „კორუფციის კონტროლის“ მიხედვით, საქართველო, მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის 62-ე ადგილზე იყო, ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ იმავე წლის დეკემბრამდე გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის“ 2011 წლის ინდექსის მიხედვით, მსოფლოში 64-ე პოზიცია გვეკავა;

2012 წელს, მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიშის თანახმად, „კორუფციისგან თავისუფლების“ მიხედვით (რომელიც მოგვიანებით „მთავრობის კეთილსინდისიერების“ ინდექსად გარდაიქმნა), ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში 69-ე ადგილს იკავებდა.

2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და დღეს, საქართველო ამავე რეიტინგებში, „მთავრობის კეთილსინდისიერებით“ მსოფლიოში 31-ე პოზიციაზეა, „კორუფციის კონტროლით“, მსოფლიო ბანკის წევრთა შორის, 41-ე ადგილზეა, თანაც, ამ ორივე ინდიკატორით, ევროპის საუკეთესო ოცეულშია და უსწრებს კიდეც ევროკავშირის 13 სახელმწიფოს.

**„ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲥᲛᲘᲡ“ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ. ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, 2020 ᲬᲚᲘᲡ „ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲔ-12 ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔᲐ.**

**ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ, 29 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ „ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ 8 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲢᲣᲠᲐ.**

ყველაფერი ამის დანახვა მხოლოდ ბრმას ან მხოლოდ მოძალადე რეჟიმს არ შეუძლია.

* * *

**ᲨᲔᲕᲔᲮᲝᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ.**

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ განათლება უმოკლესი გზაა თავისუფლებისკენ და სწორედ ამიტომ, ჩვენი მმართველობის დროს განათლების სფეროში გასამმაგებულია ხარჯები.

შედარებისთვის, 2013-2020 წლებში, განათლების მიმართულებით 11 მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა მაშინ, როცა წინა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ 4 მილიარდ 600 მილიონი ლარი.

ჩვენ გავაორმაგეთ მასწავლებელთა ხელფასები და დღეს 400 ლარის ნაცვლად, კვალიფიციური მასწავლებლების ანაზღაურება 1000 ლარს აღემატება.

განათლების უპრეცედენტო რეფორმის ფარგლებში, ვაგრძელებთ ახალი სკოლების მშენებლობას, არსებულის რეაბილიტაციას და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათ აღჭურვას;

ღირსეულად გავაცილეთ ჩვენი ღვაწლმოსილი პედაგოგები და შევქმენით დამატებითი მოტივაცია სკოლებში, განსაკუთრებით, რეგიონებისა და მთის სკოლებში პედაგოგთა ახალი თაობის მოსაზიდად.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ საგარეო კუთხითაც კიდევ უფრო გავიმყარეთ პოზიციები. წინსვლა გვაქვს ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულებებით. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ანგარიშზეა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება, ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაწესება და აშშ-ის ორპარტიული მხარდაჭერის აქტი.

**უდავო ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველოს არ ახსოვს სტაბილურობის და მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების ესოდენ ხანგრძლივი პერიოდი. „ქართულ ოცნებამდე“ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აიცილა არეულობა, ქაოსი და სისხლისღვრა. გადავხედოთ ჩვენს ისტორიას, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე — სამხედრო გადატრიალება, რასაც ეროვნული ხელისუფლების დამხობა, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა და სამოქალაქო ომი მოჰყვა; შემდგომ კი, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტების პირველი ფაზა, მარცხი და ასობით ათასი დევნილი მოსახლეობა; კრიმინალური ბანდების თარეში და პრაქტიკულად გაუქმებული, დისფუნქციური სახელმწიფო, განადგურებული, ნულზე დაყვანილი ეკონომიკა და სრულიად მოშლილი სოციალური ინფრასტრუქტურა; შემდეგ — სტაგნაცია, კორუფციული ჭაობი, უძრაობა და როგორც შედეგი, ხელისუფლების კვლავ არაკონსტიტუციური, რევოლუციური გზით ცვლილება; პირველი იმედები, გამოცოცხლება და ისევ ომი, ოკუპაცია, ადამიანური მსხვერპლი, დევნილი მოსახლეობის ახალი ნაკადი და მძიმე ეკონომიკური კრიზისი.**

უმძიმესი მემკვიდრეობის, ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების და რყევების მიუხედავად, ჩვენ პირველი ხელისუფლება ვართ, ვინც ხანგრძლივად მოვახერხეთ, შეგვენარჩუნებინა მშვიდობა და სტაბილურობა, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს ქვეყნის გაძლიერების, დემოკრატიული განვითარების და შეუქცევადი წინსვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს.

იმავდროულად, ჩვენ ვახერხებთ, გვეჭიროს პრინციპული და ღირსეული პოზიცია, როდესაც საქმე ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვას ეხება, იქნება ეს ოკუპაციის შედეგების აღმოფხვრა თუ ჩვენი ხალხის ევრო-ატლანტიკური არჩევანის რეალიზაცია.

ოკუპაციის ურთულეს პირობებშიც კი, როდესაც გამყოფი ხაზის ორივე მხარეს, ჩვენი მოქალაქეები ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე არიან, ჩვენი რაციონალური და პრაგმატული მიდგომებით, ვახერხებთ მშვიდობის შენარჩუნებას, რასაც გვიწონებენ და მხარში გვიდგანან ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ პოლიტიკის წყალობით, 2020 წლის „მსოფლიო მშვიდობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველო მშვიდობიანობის გრძელვადიანი გაუმჯობესებით, მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო 2020 წლის „სახელმწიფოებრივი სიმყიფის ინდექსის“ მიხედვით, საქართველო სახელმწიფოებრივი მდგრადობის გრძელვადიანი გაუმჯობესებით, მსოფლიოს საუკეთესო სამეულში მოხვდა და ევრაზიის კონტინენტზე პირველ ადგილზე გავიდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და ავტორიტეტული სარეიტინგო ინსტიტუტების ესოდენ მაღალი შეფასებები გვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენ მიერ არჩეული პოლიტიკა ამ მიმართულებითაც უალტერნატივოა.

თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი პროპაგანდა, აქაც ვერ მოდის თანხვედრაში ვერც ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და ვერც საერთაშორისო სარეიტინგო ინსტიტუტებთან.

**ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲫᲚᲕᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲓᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲚᲡ ᲑᲝᲠᲓᲔᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲝᲪᲐᲕ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲐᲨᲘ.**

და მაინც, არსებობს საკითხი, რაშიც ვეთანხმებით უკლებლივ ყველა ოპონენტს და რაც ობიექტურ რეალობას ასახავს. ეს არის, ჯერ კიდევ დაუძლეველი სიღარიბე. კარგად გვესმის, რომ ჯერ კიდევ ბევრია გაჭირვებაში მყოფი ოჯახი და უმუშევარი მოქალაქე; ვიცით, რომ უამრავ ადამიანს უდიდესი ძალისხმევა სჭირდება, რომ ნორმალურად გამოკვებოს ოჯახი, იზრუნოს შვილების ხარისხიან განათლებაზე, ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები.

დიახ, სიღარიბე ობიექტური რეალობაა და ჩვენ მის არსებობას, რასაკვირველია, ვაღიარებთ, მაგრამ ჩვენ ვერ მივიღებთ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ სიღარიბე, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, „ქართული ოცნების“ მმართველობის შედეგია.

დღევანდელი სიღარიბე ათეული წლების მანძილზე დაგროვებული პრობლემაა და სათავეს იმ დროიდან იღებს, როდესაც ჩვენი ხელით დავანგრიეთ ახლად ფეხადგმული სახელმწიფო.

დღევანდელი სიღარიბე იმ ოცწლიანი უწყვეტი დაღმასვლის და კატაკლიზმების შედეგია, რომელიც ჩვენს ქვეყანას გადახდა, რომლებზეც უკვე ვისაუბრე და აღარ გავიმეორებ.

**ამიტომ, უსამართლო კრიტიკას ვერ მივიღებთ ვერც მათგან, ვინც თავის დროზე ქვემეხებით ანგრევდა რუსთაველს და დღეს დანგრეულ ეკონომიკაზე ბედავს ლაპარაკს და ვერც მათგან, ვინც 2012 წლამდე, სხვადასხვა ეტაპზე, საკუთარი უგუნურებითა თუ ანგარებით უზრუნველყო ის ეკონომიკური დაღმასვლა, რამაც შვა მასობრივი სიღარიბე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, მემკვიდრეობით ერგო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას.**

განსაკუთრებით მიუღებელია კრიტიკა და ბრალდებები იმ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ვინც ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, მხოლოდ 4 პროცენტით მოახერხა სიღარიბის შემცირება და 2012 წელს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მილიონ 123 ათასი მოქალაქე დაგვახვედრა.

სიღარიბის დაძლევის ესოდენ დაბალი მაჩვენებელი, დიდ წილად, 2008 წლის ომის თანამდევი ეკონომიკური კრიზისის არაეფექტურმა და უგუნურმა მართვამაც განაპირობა. კრიზისის დასაძლევად აღებული ოთხი მილიარდი დოლარი საგარეო ვალი, რომელიც დღემდე უმძიმეს ტვირთად აწევს ქვეყანას, ეკონომიკის გაჯანსაღებას კი არ მოხმარდა, ეს ფული საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად გამოიყენეს მაშინდელმა ხელისუფლებამ და მასთან დაახლოებულმა ბანკირებმა მაშინ, როცა გაჭირვებაში მყოფ ხალხს რეალური დახმარების ხელი არც უგრძნია.

**ამასობაში, „ქართულმა ოცნებამ“ ნამდვილი იმის მაგალითი აჩვენა, თუ როგორ უნდა დაუდგე ხალხს გვერდში, შეუმსუბუქო ყოფა და აგრძნობინო, რომ მარტო არ არის განსაცდელის პირისპირ. დღეს, როდესაც პანდემიის გამო, უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა და გაჩერდა მთელი მსოფლიო, ლოგიკური და სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს ისედაც მყიფე ეკონომიკას გაუჭირდა და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება იმისათვის, რომ კვლავ წელში გავიმართოთ. ვალი, რომლის აღებაც ჩვენს ხელისუფლებას მოუწია, მთლიანად ხმარდება ხალხს, პირველ რიგში კი მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება, ვინც შემოსავლის გარეშე დარჩა, სოციალურად დაუცველებს, სტუდენტებს, ბავშვებს. ამავე დროს, მიზნობრივი დახმარება გაეწია ყველა იმ დარგს, რომელმაც ეკონომიკა უნდა გადაარჩინოს, იქნება ეს მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი თუ სხვა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამასაც მოვერევით და კრიზისიდან მინიმალური დანაკარგებით გამოვალთ, რადგან ყველა თეთრი, რაც კრიზისის დროს მოვიზიდეთ, ხმარდება ქართულ ეკონომიკას, მის მდგრადობას და განვითარებას. წინამორბედი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ვალად აღებულ სახსრებს „ქართული ოცნება“ ხარჯავს შედეგიანად და პატიოსნად, არ ფლანგავს და რაც მთავარია, არ იპარავს მას.**

ჩვენ რვა წელია, ვებრძვით სიღარიბეს და მოვახერხეთ ოცწლიანი დაღმასვლის შეჩერება — 400 ათასამდე ჩვენი მოქალაქე ამოვიყვანეთ უკიდურესი სიღატაკიდან, თუმცა, კიდევ გვრჩება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 700 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე. ეს ძალიან დიდი რიცხვია. სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს პრობლემა ერთბაშად დავძლიოთ, მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, ერთიანობით, თავდაუზოგავი და პატიოსანი შრომით, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ჩვენ ამ პრობლემასაც წარმატებით დავძლევთ.

სწორედ ამ მიზნებს და ამოცანებს ემსახურება პარტიის საარჩევნო პროგრამა, რომელიც დღეს უნდა წარმოგიდგინონ ჩვენი გუნდის წევრებმა.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, პროგრამა შედარებით მოკლედ, თეზისურად იქნება წარმოდგენილი, თუმცა, დაგეგმილი გვაქვს, რომ კამპანიის დროს, რამდენიმე სპეციალური პრეზენტაცია კიდევ გავმართოთ, მათ შორის რეგიონებში და თემების მიხედვით, დეტალურად ვესაუბროთ ამომრჩეველს ჩვენს პროგრამაზე, რათა სათქმელიც გასაგებად ვუთხრათ და თითოეულ სიტყვასა და დაპირებაზე ჯეროვანი პასუხისმგებლობაც ავიღოთ.

განვითარება და წინსვლა ქართველი კაცის ხასიათშია. ისტორიულად ის ყოველთვის იყურებოდა წინ და არასოდეს არჩევანი წარსულის სასარგებლოდ არ გაუკეთებია. ამიტომაც, მჯერა, ჩვენი ხალხი თავის არჩევანს იმ ძალის სასარგებლოდ გააკეთებს, რომელსაც სწორი გზით წინ მიჰყავს ქვეყანა, რომელმაც დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი, შეინარჩუნოს მშვიდობა და საკუთარ მოქალაქეებს სტაბილური გარემო შეუქმნას წინსვლისა და წარმატებისთვის.

**ᲩᲕᲔᲜ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲗ,**
**ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!**

# ვახტანგ ვეფხვაძე: თუკი კაცს ერისთვის რაიმე სიკეთის ქმნა შეუძლია, უკან არ უნდა დაიხიოს!..

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ, ერთია შინაური თუ უცხოელი მაყურებლის მიერ წარმოდგენის დროს განცდილი ემოციები და შემდეგ გონებას შემორჩენილი შთაბეჭდილებები, ხოლო სულ სხვა და, ვფიქრობ, ერთობ უცხოა,თავად სანახაობის მონაწილეთა, უშუალოდ მოცეკვავეთა მიერ შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, ანდა, უბრალოდ, საგასტროლო ტურნეების დროს ანსამბლთან დაკავშირებული ემოციები, სასიამოვნო მოგონებები და განცდილი შთაბეჭდილებები.

ამ თვალსაზრისით, გამორჩეული საჩუქარი მიიღო ქართულმა საზოგადოებამ: ცოტა ხნის წინათ მკითხველთა სამსჯავროზე წარსდგა შესანიშნავი წიგნი – „სუხიშვილები. მოგონებები“, რომელმაც დღის სინათლე მისი შექმნის იდეის ავტორის, ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის **ვახტანგ ვეფხვაძის** თანადგომის წყალობით იხილა.

ისევე, როგორც თავად ცეკვა არაერთ კომპონენტს, მათ შორის, მუსიკას, მოძრაობას, პლასტიკას, რიტმს, სამოსელს და სხვას ორგანულად ითვისებს, ისე შინაარსობრივად მდიდარი და სათანადო პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნის შესაქმნელად რამდენიმე აუცილებელი მდგენელის არსებობაა აუცილებელი.მათ შორის, ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, ყველაზე „წონადი“ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ხარჯის გამწევია, გამომცემელს რომ ვეძახით... სწორედ მისი ძალისხმევის გარეშე ყველა გარჯა ფუჭია.

...ჩვენ რუსთაველის პროსპექტზე, ძველი თბილისური სახლის მეორე სართულზე ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის მყუდრო კაბინეტში ვსხედვართ, მასპინძელს ვთხოვ წიგნის შექმნის ამბის მოყოლას.

– ჩვენი ეროვნული სიამაყის, ანსამბლ „სუხიშვილების“ შესახებ ახალი წიგნის შექმნის იდეა, თავდაპირველად, ამ შესანიშნავი დასის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის თენგიზ უთმელიძის ვარსკვლავის საზეიმო გახსნაზე გამიჩნდა, – ამბობს ბატონი ვახტანგი. – თუმცა, აუცილებლად მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი კულტურის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მსგავსი პროექტების განხორციელება და, ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში მხარდაჭერა, მე და ჩემმა მეგობარმა დავით სალარიძემ წლების წინათ გადავწყვიტეთ. მათგან ზოგიერთის ფრთაშესხმა შევძელით კიდეც, ხოლო როცა სუხიშვილების დასის შესახებ წიგნის შექმნაზე საქმე უშუალოდ მიდგა, დავითმა პროექტის, ასე ვთქვათ, „გამძღოლად“ შესანიშნავი პიროვნების, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ **ვალერი ასათიანის** კანდიდატურა შემომთავაზა. ამდენად, წიგნის „სუხიშვილები. მოგონებები“ რედაქტორ-შემდგენელი სწორედ ის გახლავთ და თუ როგორია ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი, ეს უკვე მკითხველმა უნდა განსაჯოს.

აქ, თქვენი ნებართვით, პატივცემულო მკითხველო, ორიოდე სიტყვას ამ მართლაც შესანიშნავი წიგნის თაობაზე მოგახსენებთ, რომლის არაჩვეულებრივი სითბოთი დაწერილ წინასიტყვაობაში **„მშვენიერების მარადიული დღესასწაული“**, ბატონი ვალერი ასათიანი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ **„სუხიშვილები“ სრულიად განსხვავებული სხივია ქართული კულტურისა. ხშირად იმოწმებენ გრიგოლ რობაქიძის ცნობილ სიტყვებს, წარმოთქმულს ანსამბლის შესახებ: „ქართული გენია, როკვით განფენილი“ (მწიფობისთვე, ჟენევა, 1962)“.**

მართლაც რომ ძნელია, ამ გამორჩეულ დასზე, ზოგადად ქართული ცეკვის ფენომენზე, უფრო ზუსტად, სხარტად და ამაღლებულად რაიმეს თქმა!

აქვე მინდა, ვალერი ასათიანის წინათქმის კიდევ ერთი მცირედი ამონარიდი შემოგთავაზოთ:

**„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი და ამით მრავალთა ნათქვამს გავიმეორებ, რომ „სუხიშვილები“ ქართული ფენომენის – ქართული კულტურის მარადიულ დღესასწაულად იქცა!**

**და ეს დღესასწაული თაობიდან თაობას გადაეცემა!**

**ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა ჭეშმარიტად დაიმსახურა, „რათა აღვამაღლოთ იგი ქებითა!“**

ჰოდა, წიგნი **„სუხიშვილები. მოგონებები“** სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება, ოღონდ ამ შემთხვევაში ერთობ უჩვეულო და ამით მეტად მიმზიდველი რაკურსით: საარქივო ფოტომასალებით ამ უხვად ილუსტრირებულ გამოცემაში დასის წევრთა ყოველდღიურ ყოფასთან, პირადი ცხოვრების გარკვეულ მომენტებთან, საგასტროლო ტურნეებთან თუ სხვადასხვა ქვეყნის სახელოვან საზოგადო და პოლიტიკურ წარმომადგენლებთან, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრების პერიპეტიებს იხსენებენ „სუხიშვილების“ ანსამბლის ბრწყინვალე ვარსკვლავები, სულ 22 კაცი, რომელთა გვარების ჩამოთვლას აქ არ მოვყვები, რის მიზეზს, დარწმუნებული ვარ, ადვილად მიმიხვდებით, პატივცემულო მკითხველო!

წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა ძალზე მოზომილად გამოიყენა ასევე „სუხიშვილების“ ანსამბლის შესახებ მსოფლიო პრესის ზღვა მასალის საგანგებოდ შერჩეული ნაწილი, ქართველი მწერლების – გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, იოსებ ნონეშვილის, მურმან ლეგანიძის, მაყვალა გონაშვილის, დავით თედორაძის გამონათქვამები დასის შესახებ, მისი ხელმძღვანელებისადმი, ქალბატონ ნინო რამიშვილისა და ბატონ ილიკო სუხიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები. ასევე უაღრესად საინტერესოა ბატონ თენგიზ უთმელიძის მიერ მოთხრობილი სახალისო ამბები და კურიოზები, რომლებიც დასის წევრებს თავს გადახდენიათ. შესანიშნავი წიგნის მოკლე ანოტაცია მინდა, ქართული ნაციონალური ბალეტის აკადემიური დასის დღევანდელი ხელმძღვანელების **ილიკო** და **ნინო სუხიშვილების** სამადლობელი სიტყვის მცირედი ამონარიდით დავასრულო: **„ჩვენი ოჯახისა და ანსამბლის ყველა თაობის სახელით კიდევ არაერთხელ დავამტკიცებთ, რომ ამ პატარა ერს შესწევს უნარი მთელი მსოფლიოს მაყურებელი აღაფრთოვანოს და ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელი ამშვენებდეს მსოფლიოს აფიშებს“.**

ასემც ყოფილიყოს!

„სუხიშვილების“ შესახებ ამ არაჩვეულებრივი წიგნის შექმნის იდეის ავტორთან და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩანაფიქრის განმახორციელებელთან, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძესთან საუბარი, იცოცხლეთ, ნებისმიერი ჟურნალისტისთვის მისწრებაა, მაგრამ მე, როგორც „ძველი თაობის“ ჟურნალისტმა, „საკუთარი წყაროებიდან“ ისიც ვიცი, რომ ამ დიდებული პროექტის გარდა, ბატონ ვახტანგს არაერთი სხვა მეტად საგულისხმო მამულიშვილური საქმისთვის შეუსხავს ფრთები და, ცოტა არ იყოს, დაჟინებით ვთხოვ, მათ შესახებაც მიამბოს. მაგრამ, მასპინძელი ტაქტიანად თავს არიდებს საკუთარ სასიკეთო საქმეთა შესახებ საუბარს, გაცილებით ხალისიანად თბილისის დღევანდელობასა და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე მელაპარაკება, რის შესახებაც ქვემოთ აუცილებლად მოგითხრობთ. ახლა კი აუცილებლად მინდა, გიამბოთ ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის მშობლიურ კუთხეში მიტოვებული და დროთა განმავლობაში თითქმის მთლიანად გაპარტახებული ეკლესიის აღდგენის მეტად საგულისხმო ამბავი.

– ჩემი წინაპრები წარმოშობით ხარაგაულის რაიონიდან არიან, სადაც სოფელ საბეში თითქმის მარტო საძირკველდარჩენილი საყდრის ნანგრევები იყო შემორჩენილი, – ამბობს ბატონი ვახტანგი და მაგიდიდან ფოტოსურათებით სავსე მოზრდილ ალბომს იღებს (**აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ წილად მხვდა პატივი, გავცნობოდი, ბატონ ვახტანგის მამის – ვალერიან ვეფხვაძის არაჩვეულებრივი ხატოვანებით დაწერილ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს, რომლებიც მშობლიური კუთხისადმი და ახლობლებისადმი უდიდესი სითბოთია განსჭვალული. როგორც ჩანს, ბატონი ვალერიანი ერთობ განსწავლული და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პიროვნება ყოფილა**)...

– სიმართლე გითხრათ, ჩემი ღრმა რწმენით, თუკი კაცს ერისთვის რაიმე სიკეთის გაკეთება შეუძლია, უკან არ უნდა დაიხიოს – შენ შენი წილი საქმე ჰქმენი, სხვამ თავისას მიხედოს. ამიტომაც იყო, რომ იმ დანგრეული საყდრის აღდგენა, უფრო სწორად კი, ხელახლა აშენება გადავწყვიტე. ჰოდა, მოვნახე კიდეც საყდრის აღმდგენი სანდო და სათნო ხალხი და საქმესაც შევუდექით. ეკლესიის სრულ აღდგენასა და შემდგომ მის მოხატვას, სამ წელზე მეტი დრო დასჭირდა, სამაგიეროდ, 2011 წლის 17 სექტემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ საბეში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ამოქმედდა, ამჟამად წირვები რეგულარულად იმართება – ზაფხულობით – კვირაში სამჯერ, ზამთრობით – ერთხელ.

განა ამაზე მეტი სიხარული შეიძლება კაცმა ცხოვრებაში განიცადო?!

თუმცა, მოდი, იქნებ ჩვენ საყვარელ დედაქალაქზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. აუცილებლად მინდა, აღვნიშნო, რომ როცა თბილისის მერის 2017 წლის არჩევნებზე, ამ ურთულეს სამეურნეო პოსტზე პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბატონი კახა კალაძის კანდიდატურა წამოაყენა, მეც და ჩემმა მეგობრებმაც უპირობოდ დავუჭირეთ მხარი და ახლა სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აკი არც შევმცდარვართ!

მე ძირძველი თბილისელი გახლავართ, მთაწმინდაზე დაბადებული და გაზრდილი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპეციალობით არაერთ მშენებლობაზე მიმუშავია და კარგად ვიცი, თუ რაოდენ რთულია ისეთი უზარმაზარი, თანაც უაღრესად მრავალკომპონენტიანი მეურნეობის მართვა, როგორიც დედაქალაქისაა! ბატონ კახა კალაძეს ეს შესანიშნავად გამოსდის – როგორი დიდებული და წარმატებული ფეხბურთელიც იყო, ისეთივე ქალაქის მერია! სიმართლე გითხრათ, თბილისს უწინაც ჰყოლია გამორჩეული ქალაქის თავები, მათ შორის ბატონი ნიკო ლეკიშვილი, რომლის შეფასებით, დედაქალაქის დღევანდელი ხელმძღვანელი საქმეს ჩინებულად უძღვება. დამეთანხმებით, რომ ახლო წარსულში ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეულად წარმატებული მერისგან კახა კალაძის მოღვაწეობის ასეთი მაღალი შეფასება ერთ რამედ ღირს!

სხვა საკითხია, რომ ზოგიერთი, სამწუხაროდ, დღემდე ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც დედაქალაქს აწუხებს, მას ნორმალური და ეფექტური განვითარების შესაძლებლობებს უზღუდავს. ეს, პირველ ყოვლისა, თბილისის არქიტექტურულ დაგეგმარებას ეხება, თუმცა კი, ცხადია, ამ ურთულესი ურბანული საკითხის ხელის ერთი დაკვრით გადაჭრა შეუძლებელია, ამას მაღალი კლასის პროფესიონალთა ძლიერი გუნდის ხანგრძლივი და შეხმატკბილებული, შვეიცარიული საათივით აწყობილი მუშაობა სჭირდება.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ყოველივე სასიკეთო საქმის ფრთაშესხმას აუცილებლად მტკიცე პოლიტიკური ნებაც სჭირდება. ამიტომაც, თბილისის მერის მომდევნო არჩევნებზე, თუკი პარტია „ქართული ოცნება“ კვლავ წამოაყენებს ბატონ კახი კალაძის კანდიდატურას ამ მაღალი პოსტის დასაკავებლად, მეც და ჩემი მეგობრებიც კვლავაც ამოვუდგებით მას გვერდში!

ჩემ ნათქვამს ერთი მცირე რეპლიკაც მინდა, დავურთო. არავისთვის უნდა იყოს დიდად გასაკვირი, რომ რაგინდ მაღალ საარჩევნო თანამდებობაზე მოხვედრილი კაცი, როგორი დიდი სურვილიც უნდა ჰქონდეს, უკლებლივ ყველა წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას თითქმის ვერასდროს ახერხებს. ასეა მსოფლიოს ყველა, მათ შორის უმაღლესი განვითარების ქვეყანაშიც კი და ამას აუარება, სრულიად ობიექტური მიზეზი აქვს. ამიტომაც, ამის გამო ხელისუფლების ოპოზიციონერთა მხრიდან იმის გაუთავებელი ძახილი, რომ ესა თუ ის წინასაარჩევნო დანაპირები არ შესრულდა და ხალხი მოტყუებული დარჩაო, ვფიქრობ, არა მხოლოდ არაკორექტული და არამართებულია, არამედ არაკონსტრუქციულიც: თუკი მავან პოლიტიკოსებს მართლაც მოსახლეობის კეთილდღეობა ედარდებათ, ისიც უნდა შეიგნონ, რომ ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევა მხოლოდ ერთმანეთის გვერდში დგომით და არა გათითოკაცებით უნდა მოხდეს!

**დაბოლოს, აუცილებლად მინდა, გითხრათ კიდევ ერთი რამ. ვიდრე ამ ცხრა წლის წინათ სოფელ საბეში წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აღორძინდებოდა, რამდენიმე იქაური ოჯახი ერთმანეთზე რატომღაც დამდურებული იყო – ზოგი რაღაც მიზეზით, ზოგიც, შეიძლება, სულაც უმიზეზოდაც. მას შემდეგ კი, რაც სოფელში კვლავ გაისმა ეკლესიის ზარი და წირვა-ლოცვაც აღდგა, ხალხმაც ნირი შეიცვალა, გაუცხოება-გაღიზიანება მეგობრობამ და კეთილმეზობლობამ ჩაანაცვლა.**

**ახლა ამას კიდევ ის სასიკეთო ამბავიც დაემატა, რომ ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტით, ცენტრალური გზა, რომელიც მანამდე სოფელ საბემდე არც მიდიოდა და გვერდს უქცევდა, აღორძინებული ტაძრის „ხათრით“ იქამდეც ავა...**

**ოთარ ტურაბელიძე,**
**დემიკო ლოლაძის ფოტო.**

## სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

# აცხადებს ღია კონკურსს

### შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

- **მკვლევარი სპეციალისტი** – 1 (არასრული 0,5) საშტატო ერთეული (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიაში);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე – ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2020 წლის 29 ნოემბრიდან 02 დეკემბრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**განათლება** (უმაღლესი საინჟინრო - ტექნიკური განათლება, მაგისტრის ან/და მაგისტრანტის ხარისხი);

ბ.) **სამუშაო გამოცდილება:**

ბ.ა) შესაბამის სფეროში არანაკლებ 3 წლამდე გამოცდილება;

გ.) **კომპიუტერის ცოდნა** (ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა);

დ.) **უცხო ენის ცოდნა** (რუსული/ინგლისური);

ე.) **სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება:**

ე.ა) კვლევების შედეგების დამუშავების თანამედროვე მეთოდების ცოდნა, ექსპერიმენტებისა და დაკვირვებათა ჩატარება, ინფორმაციის დამუშავება –განზოგადება;

ვ.) **კომპეტენციები:**

ვ.ა) გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;

ვ.ბ) კომუნიკაბელურობა;

ვ.გ) ცვლილებებისადმი ადაპტირება;

ვ.დ) სტრესულ გარემოში მუშაობა.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის „01“ ოქტომბრის №01-01-3/250 ბრძანების შესაბამისად

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი დოლოგანი | ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება | $C_1$ | 7 წელი | 290 800 $m^3$ | 84 690 | 25 700 |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | | | |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | | | 245429200 | | | | |
| მისამართი/ტელეფონი | | | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 | | | | |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | | | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია | | | | |
| ბიჯის სიდიდე | | | საწყისი ფასის 10 % | | | | |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავება განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მირებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით, საფეხურევრივად ჰიფსომეტრული ნიშნულიდან დაბლისაკენ (ზემოდან ქვემოთ),<br>გ) ობიექტის ექსპლოატაციის პერიოდში მოხსნილი ფუჭი ქანის დასაწყობდეს, რათა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდინარის ხეობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მდინარის შეგუბება და ასევე ქვათაცვენისა და ღვარცოფული პროცესების განვითარება.<br>დ). ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნას მუხტების ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებისაგან გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; | | | | |

## აზერბაიჯანსა და სომხეთს დიალოგისკენ მოუწოდებენ

ევროკავშირის ლიდერებმა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტზე იმსჯელეს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა, რომ ის აზერბაიჯანის პრეზიდენტსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრს ესაუბრა.

**„შეხვედრაზე მოვლენების განვითარების შესახებ ბოლო ინფორმაცია ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა მოგვაწოდა. სიტუაციის ანალიზი წარმოადგინეს ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა და განსაკუთრებით საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა. მე მქონდა შესაძლებლობა, გავსაუბრებოდი აზერბაიჯანის პრეზიდენტსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრს.**

**მხარეებს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისა და პოლიტიკური დიალოგის დაწყებისკენ მოვუწოდებთ. ეს არის ერთადერთი გზა უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. ჩვენ მობილიზებული ვართ და ვიქნებით აქტიური, რათა დავიცვათ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, რამდენადაც შესაძლებელია. სიტუაციის დეესკალაციისთვის ყველამ კონსტრუქციული როლი უნდა ითამაშოს, ვინაიდან ვხედავთ სიტუაციის კრიტიკულ დონეზე ესკალაციას და ეს ჩვენი უკიდურესი შეშფოთების საგანს წარმოადგენს.**

**ჩვენ გვსურს ყველა შესაძლებლობის გამოყენება. ჩვენ გვსურს, შეხვედრა შედგეს, რათა დიალოგი და პოლიტიკური მოლაპარაკებები დაიწყოს“,** – განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროკავშირის ლიდერების 6-საათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ.

## მაკრონი აცხადებს, რომ ყარაბაღში 300 სირიელი მებრძოლი იმყოფება

**„ეს მებრძოლები იდენტიფიცირებულები არიან. ისინი ეკუთვნიან ჯიჰადისტურ დაჯგუფებას, რომელიც მოქმედებს სირიაში, ალეპოს რაიონში“,** – განაცხადა საფრანგეთის ლიდერმა. მისი თქმით, მზადდება ამავე რაოდენობის კიდევ ერთი კონტინგენტის გადასროლა.

როგორც მაკრონმა მანამდე განაცხადა, საფრანგეთი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სირიელი მებრძოლები საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის

| | |
|---|---|
| | ვ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; |
| | კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ" მე-16 მუხლის „თ" პუნქტის შესაბამისად მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარადგინოს ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი სქემატური ნახაზი და გზის საფარის მოწყობა განახორციელოს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში<br>ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის |
| | შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 7 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 7 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 7 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 7 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ყარაბაღში გაემგზავრნენ. საფრანგეთის, რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა, რომლებიც ყარაბაღის საკითხში ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან, დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდეს შეწყვიტონ სამხედრო შეტაკებები და დაიწყონ მოლაპრაკებები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე.

## აზერბაიჯანის დრონები ჩამოვუარეთო

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ სომხეთის თავზე აზერბაიჯანის ოთხი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს.

**„მტრის ოთხი უპილოტო აპარატი დავაფიქსირეთ გეღარქუნიქისა და კოტაიქის პროვინციების თავზე. სომხეთის საჰაერო თავდაცვის საშუალებებით სამი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვაგდეთ“,** — დაწერა ნიკოლ ფაშინიანმა Facebook-ზე. მოგვიანებით სომხეთის პრემიერ-მინისტრმა მეოთხე უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდებაც დაადასტურა.

## მზად არიან, ოფიციალურ ბაქოს სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ

უკრაინის მმართველი პარტიის წევრმა ლუდმილა მორჩენკომ სენსაციური განცხადება გააკეთა- მისი თქმით, საჭიროების შემთხვევაში ოფიციალური კიევი ბაქოს სამხედრო მხარდაჭერასაც გაუწევს. **„ჩვენ უკვე ვეხმარებით აზერბაიჯანს სამართლებრივი და აგრეთვე ჰუმანიტარული კუთხითაც. აგრეთვე განვიხილავთ კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, თუ როგორ შეიძლება აღმოვუჩინოთ დახმარება აზერბაიჯანს. უკრაინა მზად გახლავთ სხვადასხვა სახის დახმარების გასაწევად, მათ შორის სამხედრო კუთხითაც, თუ ამის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგება. ეს საომარი ვითარებაა“,** — განაცხადა პარტია „ხალხის მსახურის“ წევრმა.

## ტრამპი და მისი მეუღლე ვირუსით დაავადნენ

აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს და მის მეუღლეს მელანიას კორონავირუსი დაუდასტურდათ.

**„კარანტინისა და გამოჯანმრთელების პროცესს დაუყოვნებლივ გავივლით. ამ გზას ერთად გავივლით“,** — წერს დონალდ ტრამპი. კოვიდინფექცია დაუდასტურდა ტრამპის მრჩეველსაც. ჰოუფ ჰიქსი 29 სექტემბერს დონალდ ტრამპს ოჰაიოში ახლდა, სადაც მოქმედმა პრეზიდენტმა დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატ ჯოზეფ ბაიდენთან დებატები გამართა.

## სანქციები ბელარუსის წინააღმდეგ

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ბელარუსის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ, მაგრამ ე.წ. შავ სიაში ალექსანდრ ლუკაშენკო არ იქნება.

განცხადება ორგანიზაციაში კონსენსუსის მიღწევის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა გააკეთა. შარლ მიშელმა განაცხადა, რომ სანქციების დასაწესებლად გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და პროცედურები 2 ოქტომრიდან დაიწყება.

**„ჩვენ მხარს ვუჭერთ ბელარუსის მოქალაქეებს, ვინც საკუთარი ქვეყნის დემოკრატიული მომავლისთვის იბრძვის. ჩვენ ვიცავთ ფუნდამენტურ ღირებულებებს და ეს არის გამოხატვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება. სანქციებს დაექვემდებარება 40 პირი“,** — განაცხადა შარლ მიშელმა.

სანქციები ბელარუსის წინააღმდეგ ძალაში მომავალი კვირიდან შევა და შეზღუდვები ამოქმედდება იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელია 2020 წლის 9 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასა და დემონსტრანტების მიმართ ძალადობაზე.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება სანქციების დაწესებაზე. მე ვადასტურებ, რომ სიაში არ არის ლუკაშენკო. ჩვენ ვაგრძელებთ მოვლენების განვითარებაზე დაკვირვებას. ჩვენ ვართ დიალოგის დაწყების მომხრე. განსაკუთრებით გვინდა, აღვნიშნოთ ეუთოს როლი, რადგან ვფიქრობთ ეუთოს შეუძლია პოზიტიური და კონსტრუქციული როლის შესრულება. ევროკავშირი გმობს ბელარუსში მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობას, პოლიტიკური ოპონენტების დევნას“,** — განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა. საპროტესტო გამოსვლები ბელარუსში თითქმის ორი თვეა, გრძელდება.

## უკრაინაში ტყის ხანძარი მძვინვარებს

**აღმოსავლეთ უკრაინაში, ლუგანსკის რეგიონში, ტყის ხანძრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 11-მდე გაიზარდა. ხანძრისას 17 ადამიანი დაშავდა.**

რეგიონში ხანძრის 146 კერა დაფიქსირდა, მათგან 116 უკვე ჩააქრეს. ცეცხლმა 250 შენობა გაანადგურა და რეგიონიდან 120 ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო. ხანძარს 1 500-მდე მაშველი ებრძვის. სამუშაოებში ჩართულია სამი ვერტმფრენიც.

**გერმანიის ბუნდესვერის სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა ტოქსიკოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ალექსეი ნავალნი მოწამლეს სამხედრო კლასის ნერვულ-პარალიტიკური ქიმიური აგენტით, რომელიც „ნოვიჩოკის“ ჯგუფს განეკუთვნება.**

**კრემლის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიტიკოსი და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ალექსეი ნავალნი მოწამვლის სიმპტომებით ცუდად გახდა თვითმფრინავში 20 აგვისტოს, როცა ტომსკიდან მოსკოვში მიფრინავდა. თავდაპირველად იგი მოათავსეს ომსკის საავადმყოფოში, საიდანაც 22 აგვისტოს ბერლინში გადაიყვანეს.**

**ალექსეი ნავალნის მოწამვლის ამბავმა მეხსიერებაში წამოატივტივა კრემლის სხვა ოპონენტებზე განხორციელებული ქიმიური თავდასხმები როგორც ვლადიმირ პუტინის ეპოქაში, ისე უფრო ადრე.**

**ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ იმ შხამებზე, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობით განხორციელებული სხვა ცნობილი თავდასხმების დროს გამოიყენეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.**

# ეგზოტიკური საწამლავით განადგურებული კრემლის მტრები

### პიოტრ ვერზილოვი – „ერთობ სარწმუნო მოწამვლის“ საქმე

ანტიკორუფციონერ ბლოგერ ალექსეი ნავალნიმდე ორი წლით ადრე ბერლინის „შარიტეს“ საავადმყოფოს ექიმებმა სიკვდილისგან იხსნეს რუსი აქტივისტი **პიოტრ ვერზილოვი**.

კრემლის კრიტიკოსი, 30 წლის პიოტრ ვერზილოვი მოსკოვში ავად გახდა 2018 წლის 11 სექტემბერს. ერთ კვირაში იგი გადაიყვანეს ბერლინის „შარიტეს“ კლინიკაში, რომლის ექიმებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ, დიდი ალბათობით, პაციენტი მოწამლული იყო.

პიოტრ ვერზილოვს, პანკ-ჯგუფ „პუსი რაიოტის“ წევრსა და რუსეთის ხელისუფლების სტაჟიან კრიტიკოსს, უეცრად დაუქვეითდა მხედველობა და დაკარგა ლაპარაკისა და მოძრაობის უნარი. გერმანელმა ექიმებმა განაცხადეს, რომ გარკვეული ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაირღვა პაციენტის ნერვული სისტემის მუშაობა, რომელიც შიდა ორგანოებს არეგულირებს.

### სკრიპალებისა და „ნოვიჩოკის“ საქმე

ვერზილოვის მოწამვლამდე ორი-

ოდე თვით ადრე ინგლისის ქალაქ სოლსბერიში უგონო მდგომარეობაში იპოვეს ორმაგი რუსი აგენტი **სერგეი სკრიპალი** და მისი ქალიშვილი **იულია**.

ბრიტანეთმა განაცხადა, რომ სკრიპალის მიმართ ნერვული აგენტი „ნოვიჩოკი“ გამოიყენეს, რათა შური ეძიათ ბრიტანეთისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ჯაშუშურ სამსახურებთან მისი თანამშრომლობის გამო.

თავდამსხმელებში ბრიტანეთის ხელისუფლებამ რუსეთის მოქალაქეები, სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლები **ალექსანდრ პეტროვი** და **რუსლან ბოშიროვი** ამოიცნო.

სკრიპალებზე თავდასხმის სკანდალი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როდესაც ცნობილი გახდა სოლსბერის მახლობლად მცხოვრები **ჩარლი როულისა** და **დონ სტერჯესის** მოწამვლის ამბავი. ექიმებმა სტერჯესის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის 2018 წლის 8 ივლისს გარდაიცვალა.

67 წლის სერგეი სკრიპალი, რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და მისი ქალიშვილი იულია საავადმყოფოდან რამდენიმეთვიანი ინტენსიური მკურნალობის შემდეგ გაეწერნენ.

2006 წელს რუსეთის სასამართლომ „ღალატსა და ჯაშუშობაში“ დამნაშავედ ცნო რუსეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი, რომელმაც, ბრალდების თანახმად, ევროპაში მოქმედი რუსეთის აგენტების სია გადასცა ბრიტანეთის დაზვერვას (M16).

სოლსბერიში მომხდარი თავდასხმა ერთ-ერთია რუსეთის კგბ-ს ხელწერით სხვადასხვა დროს განხორციელებულ ანალოგიურ თავდასხმებს შორის.

**„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის ისეთი ფაქტები, როგორიც იყო ალექსანდრ ლიტვინენკოზე განხორციელებული თავდასხა“,** — განაცხადა ლონდონის პოლიციის უფროსის თანაშემწემ მარკ როულიმ, „ბიბისისთან“ ინტერვიუში იმ დროს, როდესაც საავადმყოფოს ექიმები სკრიპალების სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ.

ალექსანდრ ლიტვინენკო, რუსეთის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ბრიტანეთში გაქცევის შემდეგ სასტიკად აკრიტიკებდა კრემლის პოლიტიკას, 2006 წლის ნოემბერში ლონდონში მოკვდა მწვავე რადიაციული მოწამვლით.

### ფენტანილი და კარფენტანილი

**სკრიპალების მოწამვლის გარშემო ბრიტანულ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების თანახმად, სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი იულია სკრიპალი, ფენტანილის ზემოქმედების შედეგად გახდნენ ცუდად.**

ფენტანილი სინთეტიკური ოპიატია, რომელიც მორფზე, სულ მცირე, 50-ჯერ ძლიერია. ხოლო მისი მონათესავე, ასევე სინთეტიკური ოპიატი კარფენტანილი მორფზე ათიათასჯერ ძლიერია. ამ სინთეტიკურ ოპიატებს გამოიყენებენ მედიცინაში, მისით ვაჭრობენ ნარკოდილერები, რაც ხშირად სასიკვდილო შედეგს იწვევს, და მას იარაღადაც იყენებენ. არსებობს პეინტბოლის ტიპის თოფი, რომელიც ამ ნარკოტიკით დამუშავებულ ტყვიებს ისვრის, და აეროზოლი, რომელიც ოპიატს აფრქვევს. ჰაერში გამოფრქვევის შემდეგ შხამი სხეულში ხვდება სასუნთქი გზებით ან კანთან შეხებით.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის (CDC) ამერიკელი ექსპერტების დაკვირვებით, ფენტანილითა და კარფენტანილით შეიძლება მოიწამლონ სასწრაფო და სამაშველო სამსახურების თანამშრომლები მსხვერპლის კანზე ხელით შეხებისას. საშიში სიმპტომები დაუდგინეს ბრიტანეთის პოლიციის იმ ორ თანამშრომელსაც, რომლებსაც პირველად ჰქონდათ შეხება სკრიპალებთან მათი მოწამვლის შემდეგ. ერთ-ერთ პოლიციელს საავადმყოფოს ექიმებმა ორი დღის განმავლობაში ჩაუტარეს ინტენსიური მკურნალობა.

ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რუსეთის სპეცსამსახურებმა სწორედ კარფენტანილი გამოიყენეს 2002 წელს დუბროვკის თეატრში ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ, რომლებსაც 800 ადამიანი ჰყავდათ მძევლად აყვანილი.

ამ რეიდმა კრემლის დასახულ მიზანს მიაღწია, მაგრამ სპეცოპერაციას ტერორისტებთან ერთად 120 მძევალი ემსხვერპლა.

ზემოხსენებულ კვლევაში ფიგურირებს ასევე სამხედრო-ქიმიური ინსტიტუტის უფროსის, რუსი გენერლის შეფასება, რომელშიც ნათქვამია, რომ ფენტანილებს შეუძლიათ ადამიანი რამდენიმე წუთის განმავლობაში სრულიად გათიშონ.

### ალექსანდრ პერეპელიჩნის სიკვდილი

გელსემიუმი შხამია, რომელსაც რუსი და ჩინელი მკვლელები იყენებენ ხოლმე. ის მიიღება Gelsemium elegans-იდან — იშვიათი მცენარიდან, რომელიც მხოლოდ აზიაში იზრდება.

მცენარიდან მიღებული საწამლავის ჩაყრა საჭმელში რუსი და ჩინელი დაქირავებული მკვლელების მიერ ადამიანის თავიდან მოშორების ნაცადი მეთოდია.

რუსმა ოლიგარქმა და კრემლის კრიტიკოსმა **ალექსანდრ პერეპელიჩნიმ** 2009 წელს თავი ლონდონს შეაფარა. ის ჩვენებას იძლეოდა კორუმპირებული რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ და ასევე ეხმარებოდა გამოძიებას **სერგეი მაგნიტსკის** სიკვდილის გარემოებებზე ინფორმაციით.

პერეპელიჩნი 2012 წელს, 44 წლის ასაკში, ვარჯიშისას მოულოდნელად გარდაიცვალა. თავდაპირველად გამოძიებამ მისი სიკვდილი ბუნებრივად მიიჩნია, თუმცა მოგვიანებით ახალმა ტესტებმა გვამში გელსემიუმის კვალი გამოავლინა.

პერეპელიჩნის გვამში მაღალტოქსიკური გელსემიუმის კვალის აღოჩენის შემდეგ, რუსი ოლიგარქის სიკვდილის მერვე წლისთავზე, 2020 წლის 18 მაისს ბრიტანეთში გამოძიება განახლდა.

სარის საგრაფოს სასამართლოს თანახმად, არსებობს „სერიოზული საფრთხე“, რომ პერეპელიჩნი მოეკლათ იმ წვლილის გამო, რომელიც მან შეიტანა რუსეთის მძლავრი დანაშაულებრივი სინდიკატის გამოაშკარავების საქმეში.

სასამართლოზე ასევე აღინიშნა, რომ არსებობდა „ისტორიული მტრობა“ პერეპელიჩნისა და დმიტრი კოვტუნს შორის. ანდრეი ლუგავოისთან ერთად დმიტრი კოვტუნიც ეჭვმიტანილია 2006 წელს ალექსანდრ ლიტვინენკოს სასიკვდილო მოწამვლაში.

### პოლონიუმ-210 და ალექსანდრ ლიტვინენკოს საქმე

პოლონიუმი იშვიათი რადიოაქტიური ელემენტია, რომელიც წყალბადის ციანიდზე 250 ათასზე მეტჯერ ტოქსიკურია.

პოლონიუმით მოწამლეს **ალექსანდრ ლიტვინენკო,** რუსეთის „ეფესბეს“ ყოფილი აგენტი, რომელმაც 2000 წელს თავი ლონდონს შეაფარა.

ლიტვინენკო ლონდონის სუში ბარში, 2006 წელს მოწამლეს. ბრიტანელი ექსპერტების ცნობით, ის, სავარაუდოდ, პირველი ადამიანია, ვინც პოლონიუმ-210-ის შედეგად მოკვდა. ბრიტანეთის გამოძიებამ დაადგინა, რომ ლიტვინენკო **ანდრეი ლუგავოიმ** და **დმიტრი კოვტუნმა** მოწამლეს პუტინისა და მისი უშიშროების სამსახურის დირექტორის ნიკოლაი პატრუშევის ბრძანებით.

სიკვდილამდე დაწერილ წერილში

ლიტვინენკო ვლადიმირ პუტინს ადანაშაულებდა მისი მოკვლის შესახებ ბრძანების გაცემაში.

უფრო ადრე მან დაადანაშაულა რუსეთის სპეცსამსახურები 1999 წელს რუსეთში საცხოვრებელი სახლების აფეთქებასა და სხვა ტერაქტებში, რომლითაც კრემლი მიზნად ისახავდა, გაეზარდა ვლადიმირ პუტინის რეიტინგი და უზრუნველეყო მისი ხელისუფლებაში მოყვანა.

ლიტვინენკოს თანახმად, პუტინმა გასცა ასევე გამომძიებელი ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მოკვლის ბრძანება. აღსანიშნავია, რომ ორი თვით ადრე, ვიდრე ლიტვინენკოს სასიკვდილოდ მოწამლავდნენ, ანა პოლიტკოვსკაია თავდამსხმელებმა საკუთარი საცხოვრებელი სახლის ლიფტში გამოასალმეს სიცოცხლეს.

## ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲮᲝᲮᲚᲝᲕᲘ

1957 ᲬᲔᲚᲡ საბჭოთა KGB-მ თალიუმის იზოტოპით გერმანაში მოწამლა საბჭოთა უშიშროების ყოფილი თანამშრომელი ნიკოლაი ხოხლოვი. იგი აშშ-ში გაიქცა და გათქვა საბჭოთა მტრების

წინააღმდეგ KGB-ს მიერ დაგეგმილი საიდუმლო ოპერაციები, რომელშიც თავადაც მონაწილეობდა.

გერმანელმა ექიმებმა მრავალთვიანი მკურნალობის შემდეგ შეძლეს ხოხლოვის გადარჩენა, მაგრამ KGB-ს ყოფილი თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ ხოხლოვი მოწამლეს არა თალიუმით, არამედ რადიოაქტიური პოლონიუმით, როგორც 2004 წელს — ლიტვინენკო.

სხვათა შორის, ლიტვინენკოს მოწამვლის შემდეგ თავდაპირველად არასწორი დიაგნოზი დაისვა. დასაწყისში ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქმე ჰქონდათ თალიუმით და არა პოლონიუმ 210-ით მოწამვლასთან.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი იური შეკოჩიხინი მწვავედ ილაშქრებდა რუსეთის ხელისუფლებაში გამეფებული კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. შეკოჩიხინი, რომელიც მოწამვლამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) გამომძიებლებს უნდა შეხვედროდა, 2003 წლის ივლისში გარდაიცვალა მძიმე ინტოქსიკაციის შედეგად.

რუსეთის ხელისუფლების ცნობით, მისი სიკვდილის მიზეზი გახდა ე.წ. ლაიელის სინდრომი, მაგრამ შეკოჩიხინის სამედიცინო დიაგნოზი და აუტოფსიის დასკვნა დღემდე FSB-ს აქვს კონტროლზე.

ამასთან, ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ შეკოჩიხინის სასიკვდილო სიმპტომები ძალიან წააგავდა რადიოაქტიური პოლონიუმით მოწამლული ხოხლოვისა და ლიტვინენკოს სიმპტომებს.

## ᲢᲔᲢᲠᲐᲥᲚᲝᲠᲝᲓᲘᲑᲔᲖᲝᲓᲘᲝᲥᲡᲘᲜᲘ (TCDD) - „ᲓᲘᲝᲥᲡᲘᲜᲘ“

TCDD, რომელსაც ხშირად, თუმცა შეცდომით, დიოქსინს უწოდებენ, უფერო, უსუნო ნივთიერებაა. სწორედ მისგან ამზადებდნენ Agent Orange-ს, მომწამვლელ ნივთიერებას, რომელსაც აშშ-ის არმია ვიეტნამთან ომში იყენებდა.

TCDD სიმსივნის კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიჩნეულია კანცეროგენად, რომელიც ადამიანში ავთვისებიან სიმსივნეს წარმოქმნის.

ამ ნივთიერებით — ტეტრაქლოროდიბეზოდიოქსინით მოწამლეს **ვიქტორ იუშჩენკო** 2004 წელს, როდესაც ის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა რუსეთის ფავორიტ ვიქტორ იანუკოვიჩის წინააღმდეგ.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ იუშჩენკოს შემთხვევა იყო მეორე, როდესაც ადამიანის სხეულში აღმოჩნდა ასეთი მაღალი კონცენტრაციის TCDD.

ამ საშიში ნივთიერების შედეგად უკრაინელი პოლიტიკოსის სახე დაიფარა რუხ-მოლურჯო წყლულებით და წანაზარდებით, რომლის კვალი, მრავალი წლის მკურნალობის მიუხედავად, იუშჩენკოს კვლავ ეტყობა.

ვიქტორ იუშჩენკო, რომელიც მტკიცედ ემხრობოდა უკრაინის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში, მის მოწამვლაში ადანაშაულებდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს აფარებდნენ ამ საქმის გამოძიებას.

ოფიციალური შედეგებით, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა ვიქტორ იანუკოვიჩი, რასაც „ნარინჯისფერი რევოლუციად“ ცნობილი მასობრივი პროტესტი მოჰყვა. ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დიდძალი ბიულეტენი იქნა გაყალბებული იანუკოვიჩის სასარგებლოდ. ამის შემდეგ უკრაინაში დაინიშნა ხელახალი არჩევნები, რომელშიც იუშჩენკომ გაიმარჯვა.

## ᲖᲐᲠᲘᲜᲘ

ᲖᲐᲠᲘᲜᲘ განეკუთვნება ფოსფორორგანულ მომწამვლელ ნივთიერებათა სახეობას, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ადამიანზე ახდენს ნერვულ-პარალიტიკურ ზემოქმედებას.

ზარინი განეკუთვნება სასიკვდილო შხამებს და მას იყენებენ როგორც მომწამვლელ ნივთიერებას. იწვევს ნერვული სისტემის პარალიზებას, განსაკუთრებით, სწრაფად მისი შესუნთქვის დროს.

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა (FSB) 2002 წელს განაცხადა, რომ „აგენტურულ-საბრძოლო

ოპერაციის“ შედეგად განადგურეს საუდის არაბეთში დაბადებული ცნობილი საველე მეთაური **იბნ ალ-ხატაბი,** რომელიც ჩეჩენ სეპარატისტთა მხარდამხარ იბრძოდა რუსეთის ფედერალური ძალების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში 1990-იან წლებში, 2000-ის დასაწყისამდე.

ნათესავებისა და სხვა ჩეჩნური წყაროების თანახმად, ხატაბი დაიღუპა მალევე მას შემდეგ, რაც გახსნა წერილი, რომელშიც იდო სწრაფი ზემოქმედების ნერვულ-პარალიზებადი ნივთიერება ზარინი ან სხვა მისი მსგავსი შხამი.

რუსული მედიის თანახმად, ხატაბმა წერილი მიიღო დაღესტნელი ორმაგი აგენტისაგან, რომელმაც ამისათვის გასამრჯელო მიიღო FSB-სგან.

**რონ სინოვიცი,**
**რადიო „თავისუფლება“**

# ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ, 70-80 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘᲝ...

**ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘᲐ იმ დოკუმენტების ნახვა, რომლითაც დასტურდება სამშობლოს ღალატი! საქართველოს პროკურატურას უკვე აქვს დოკუმენტური მტკიცებულება, როგორ და რის სანაცვლოდ გადასცა — „საქართველოს იერუსალიმი“ სააკაშვილმა აზერბაიჯანულ მხარეს. ირაკლი შოთაძეს უწყებაში ის დოკმუნეტებიც არის, რა ფინანსური სარგებელი მიიღეს კომისიის წევრებმა. საქართველოს პროკურატურა ახლა ერთ-ერთ უმძმეს საქმეზე მუშაობს, როგორიც არის — „უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედება“.**

საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, რომლის დეტალებს პროკურატურა უახლოეს მომავალში საზოგადოებას გააცნობს, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ამავე დროს ხმაურიანი იქნება. რამდენიმე დღის წინ ექსპერტმა კავკასიის საკითხებში **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔᲛ** დაადასტურა, რომ წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა სტრუქტურაში და მათ შორის კომისიაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებმაც დაუშვეს ფინანსური მოგების მიზნით, ისეთი დოკუმენტების გადინება საქართველოდან, რომელიც გადამწყვეტი იყო საქართველოსთვის.

**„მაშინდელი ხელისუფლების დავალებით, კომისიამ ისეთი დოკუმენტების გადინება დაუშვა საქართველოდან, რომელმაც საბოლოო ჯამში ხელი შეუშალა დავით გარეჯის საკითხის მოგვარებას. გარდა ამისა, ხელი მოეწერა ზოგიერთ ისეთ დოკუმენტს, რომელიც შედგენილი იყო არა საქართველოს და არა საქმის სასარგებლოდ“,** — აცხადებდა მამუკა არეშიძე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროკურატურამ იმ ორი ადამიანის სახლები და ოფისები გაჩხრიკა, რომლებიც 2006-2007 წლებში საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრების დამდგენ სამთავრობო კომისიაში მუშაობდნენ. სწორედ ამ პერიოდში მოქმედ კომისიას ედავება გამოძიება საქართველოს ინტერესების საზიანო შეთანხმებას.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩხრეკა ჩატარდა საქართველო-აზერბაიჯანის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის ყოფილი წევრის **ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐᲡ** სახლში. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოქმედი თანამშრომლის სახლში საგამოძიებო მოქმედებები რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

როგორც ჩხრეკის შემდეგ გამომძიებელმა განმარტა, **ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐ** საქმის ერთ-ერთი ფიგურანტია და მისი სახლიდან დოკუმენტები ამოიღეს. ილიჩოვა 2006-2007 წლებში სადემარკაციო კომისიის წევრი ოყო, რა დროსაც კომისიის ფარგლებში საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე შეთანხმება მოხდა.

ჩხრეკა ჩატარდა კომისიის ყოფილი თავმჯდომარის **ᲘᲕᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** საცხოვრებელ სახლში და საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ამჟამად მუშაობს. როგორც მელაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ფართობების გადაცემა ან, რაღაცის დათმობა აზერბაიჯანის სასარგებლოდ, გამორიცხულია. მისივე თქმით, მსგავსი ფაქტი არც ძველ კომისიაში მომხდარა და არც ახალში არ მოხდება.

გამოძიებას ხელთ აქვს 1938 წლის რუკა, რომელიც საქმეში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას და სწორედ ამ რუკის დედანი ამოიღო საგამოძიებო უწყებამ ნატალია ილიჩოვასგან, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრი 14 წლის განმავლობაში იყო.

შეგახსენებთ, რომ უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების ფაქტზე პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობას. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, კომისიის მიერ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები არამართლზომიერად, ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ შეთანხმდა.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრმა **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ** 24 სექტემბერს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით ახალი კარტოგრაფიული მასალები და დოკუმენტები მოვიძიეთ, რამაც შესაძლოა, 2006-2007 წელს მიღწეული შეთანხმების გადახედვის აუცილებლობა გამოიწვიოს. დავით ზალკალიანი დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანთან მიაღწევენ შეთანხმებას, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისთვის. ამასთან, მინისტრმა იმ ახალ მასალებზე ისაუბრა, რაც, მისი თქმით, დავით გარეჯთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციებს ამყარებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ** განცხადებით, არასწორია დავით გარეჯთან დაკავშირებული საკითხის პოლიტიზება, რასაც ოპოზიცია ცდილობს. მისი თქმით, ახლა მნიშვნელოვანია, საზოგადოებას დეტალური და ჯანსაღი ინფორმაცია მიეწოდოს.

**„ერთადერთი, რაც ვიცი, მიხეილ სააკაშვილმა თქვა, 70-80 მილიონი მაქვს აღებული ამ საქმეშიო. ამ ადამიანებს იმდენი რამე აქვთ გაფუჭებული, მათი მხრიდან შეიძლება, ყველაფერი დასაჯერებელი იყოს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარეს რუსეთის ფედერაციას“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ᲠᲣᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲛᲐ სოციალურ ქსელში მიმოწერისას აღნიშნა, დაახლოებით ერთ კვირაში საქართველოში დაბრუნდება და მედიის წარმომადგენლების კითხვებს უპასუხებს.**

**რომელი წლების რუკებზეა საუბარი და როგორ აღმოჩნდა დოკუმენტები ბიზნესმენის ხელში, ამაზე დავით ხიდაშელი ამ ეტაპზე კომენტარს არ აკეთებს.**

◎ ერთა ლიგა

# სასწორზეა ევროპა!

**ერთი კვირაც და თბილისი, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს ერთა ლიგის ისტორიულ პლეიოფს უმასპინძლებს საქართველოსა და ბელარუსის ეროვნულ ნაკრებთა შორის.**

მართალია, ერთ დროს ზესახელმწიფოს თანამოქალაქეთა შეხვედრა კორონავირუსის პანდემიის გამო უეფას გადაწყვეტილებით, სავარაუდოდ, დაახლოებით მხოლოდ 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართება, მაგრამ ამით 8 ოქტომბრის მატჩის ინტრიგას არაფერი აკლდება – გამარჯვებული ხომ 12 ნოემბერს ჩრდილოეთ მაკედონია-კოსოვოს წყვილში უძლიერესს მიიღებს და, იქაც საუკეთესო, უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში ითამაშებს!

გარდა ამისა, 11 და 14 ოქტომბერს „ჯვაროსნებს“ ერთა ლიგის მეორე გათამაშების „C“ დივიზიონის ჯგუფური ტურნირის გასვლითი მატჩები ელით, შესაბამისად, ერევანში – სომხეთთან (თუ იმ დროისთვის იქ საფეხბურთოდ ექნებათ საქმე – მოგეხსენებათ, ჰაოსის ქვეყანასა და აზერბაიჯანში საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული) და სკოპიეში – ჩრდილოეთ მაკედონიასთან.

ჩვენი გუნდი უახლოესი ციკლისათვის მზადებას 5 ოქტომბრიდან სლოვაკი მთავარი მწვრთნელის – ვლადიმირ ვაისის შერჩეული ასეთი შემადგენლობით დაიწყებს:

**მეკარეები:** ლორია, მაკარიძე, კუპატაძე;

**მცველები:** კაშია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, გრიგალავა, კვირკველია, მალი, კობახიძე, ტაბიძე, დვალი;

**ნახევარმცველები:** კანკავა (კაპიტანი), კვეკვესკირი, ჩაკვეტაძე, აბურჯანია, დაუშვილი, შენგელია, ლობჟანიძე, კვარაცხელია, დავითაშვილი, გვილია, ჯიღური, კიტეიშვილი;

**თავდამსხმელები:** ქვილითაია, ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი, ლობჯანიძე, კაჭარავა.

საფიქრებელია, რომ ბელარუსში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო სტუმრებს დამატებითი ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნებათ. როგორ ვისარგებლებთ ამით, უშუალოდ ბრძოლის ველზე გამოჩნდება.

რაც შეეხება მეტოქეს, იგი იქაური ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში შეკრებაზე დღეს გადავა, ხოლო თბილისში თამაშის წინადღეს – 7 ოქტომბერს ჩამოვა.

ალბათ, დაგაინტერესებთ მისი თავკაცის – მიხაილ მარხელის მიერ მომავალი მძაფრი ბრძოლისთვის შერჩეული 35-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა, საიდანაც საბოლოოდ 27 იღბლიანი დასახელდება. მაშ ასე:

**მეკარეები:** გუტორი, შჩერბიცკი, ხაცკევიჩი, იგნატოვიჩი;

**მცველები:** მარტინოვიჩი, ბორდაჩოვი, პოლიაკოვი, ნაუმოვი, პავლოვეცი, იუზეპჩუკი, სავიჩკო, ზოლოტოვი, შვეცოვი, ლეგჩილინი, კარპოვიჩი;

**ნახევარმცველები:** დრაგუ:ნი, სტასევიჩი, ნეხაიჩიკი, იაბლონსკი, მაეცსკი,ებონგი, სავიცკი, პეჩენინი, კორზუნი, კენდიში, პოდსტრელოვი, კოვალიოვი, გრომიკო, ბახარი, კლიმოვიჩი, ხაჩატურიანი;

**თავდამსხმელები:** სკავიში, სიგნევიჩი, ლაპტევი, ლისაკოვიჩი.

დავძენთ, რომ გუნდში 6 ლეგიონერი რუსულ („კრასნოდარი“, „ურალი“, „არსენალი“ – 2, „ხიმკი“, „ლოკომოტივი“) და 4 – ყაზახურ („კაირატი“ , „უეტისუ“, „ასტანა“ – 2) კლუბებს წარმოადგენს, ხოლო დგილობრივებიდან ბატეს, ბრესტის „დინამოსა“ (6-6) და სოლიგორსკის „შახტიორის“ (5) ლიდერები სჭარბობენ.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ძველ სამყაროში

# ტიტულების ფაბრიკა

**ჩემპიონთა ლიგის დასკვნითი რაუნდის ჩატარებამ ერთგვარი დოპინგივით იმოქმედა საფეხბურთო ევროპაზე. მეტიც – ზოგან ისე გამოიღვიძეს, რომ უკვე ტიტულებიც გათამაშდა.**

მაგალითად, სეზონის გმირმა მიუნხენის „ბაიერნმა“ წლეულს მეხუთე ტურნირიც მოიგო – ამჯერად გერმანიის სუპერთასი პრინციპულ მეტოქესთან – დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მძაფრ ბრძოლაში – 3:2. გამარჯვების გოლი 83-წუთზე კიმიხმა გაიტანა, რომელიც უეფამ თანაგუნდელებთან – ლევანდოვსკისთან და ნოიერთან ერთად თავის პოზიციებზე განვლილ სეზონში ევროპაში საუკეთესოებად მიიჩნია. კვლავ საუცხოოდ გამოიყურება „სერია-ა“-ს ყველაზე შედეგიანი კლუბი – ბერგამოს „ატალანტა“, რომელმაც პორტუგალიურ პლეი-ოფშიც ღირსეულად ითამაშა მომავალი ფინალისტის – „პარი სენ-ჟერმენის“ წინააღმდეგ და უპირატესობა ბოლო წუთებზე გაანიავა. გასპერინის გუნდმა ამჯერად ამბიციური „ლაციო“ დალეწა – 4:1.

რაც შეეხება პრიმერა-დივიზიონის მოქმედ გვირგვინოსანს, მადრიდის „რეალი“ ჯერჯერობით გაჭირვებით აგროვებს ქულებს, მაგრამ „სამეფო კლუბის“ ქომაგები იმედოვნებენ, რომ ეს მინი-ჩავარდნა დროებითია და ზინედინ ზიდანის ბიჭები მალე აკრეფენ ჩვეულ კონდიციებს. კასტალიელებმა კიდევ ერთი მოკრძალებული წარმატება „ვალიადოლიდთან“ მოიპოვეს – 1:0 (ბურთი შესვენების შემდეგ ვინიციუსმა გაიტანა). ჯერჯერობით უდანაკარგოდ მხოლოდ „ბარსელონა“ და „სევილია“ თამაშობენ.

**შეგახსენებთ, რომ მანამდე „თეთრებმა“ ჯერ „სოსიედადთან“ წაიფორხილეს – 0:0, ხოლო შემდეგ „ბეტისთან“ ანერვიულეს საკუთარი გულშემატკივრები – 3:2.**

**კობა კობახიძე**

◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

# ცალ ფარში...

**ნბა-ს ფინალური სერია ისე დაიწყო, როგორც სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობა ვარაუდობდა – „ლოს-ანჟელეს ლეიკერზმა“ უპრობლემოდ დაამარცხა „მაიამი ჰითი“ – 116:98 და სერიაში დაწინაურდა – 1:0.**

ერიკ სპოელსტრას გუნდის შანსები ისედაც მოკრძალებულად ფასდებოდა და მაშინ, როცა ჯიმი ბატლერის პირადი მონაგარი მხოლოდ 23 ქულას გაუტოლდა, ხოლო გორან დრაგიჩმა შესვენებამდე პარტნიორებს კინკილა 6 ქულა შესძინა, წარმატების მოპოვებაზე ფიქრი საერთოდაც უტოპიური გახდა.

რაც შეეხება ფავორიტს, როგორც ყოველთვის, მას ენტონი დევისმა – 34 ქულა, 5 პასი და ლებრონ ჯეიმსმა – 25 ქულა, 9 პასი – ულიდერეს. სხვათა შორის, „მეფემ“ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ნახევარი ძალით ირჯებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... მოკლედ, კალიფორნიელებმა ოქროს ბეჭდისკენ პირველი დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგეს.

**ამასობაში ევროპულ კლუბებში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა გუნდებმა პოპულარული კონტინენტური ტურნირების შეხვედრები, მართალია, წააგეს, მაგრამ პარტნიორთაგან საუკეთესონი იყვნენ:**

**ევროლიგა. I ტური.** „ბარსელონა“ – ცსკა 76:66. **თორნიკე შენგელია** – 15 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი.

**ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი.** „ტენერიფე“ – „სარაგოსა“ 81:87. **გიორგი შერმადინი** – 22 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ 64



# ყაიმისა და ნაგების ნაცვლად – მოგება!

## მოულოდნელობათა მოლოდინი

**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997, 2005), საერთაშორისო დიდოსტატი (1989) დავით გურგენიძე საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში 1953 წლის 26 სექტემბერს დაიბადა.**

ეს ის სოფელია, სადაც ამავე სახელწოდების მდინარე ჩამოედინება და თუ ლეკიანობის ჟამს ადგილობრივის გამტაცებელი აღნიშნულ მდინარეზე გადავიდოდა, ეს ნიშნავდა, რომ მსხვერპლი ვეღარასოდეს იხილავდა სამშობლოს.

საბედნიეროდ, დღეს ამისგან მაინც ვართ დაზღვეულნი და იქაურობა ისეთივე სიურპრიზებით გვანებივრებს ხოლმე, როგორითაც ამ მადლიან მიწაზე დაბადებული და ამჟამად თბილისის დიდიხნის მკვიდრი დავით გურგენიძე, რომელიც ისეთ კომპოზიციებს გვთავაზობს, უამრავი მოულოდნელობით რომ არის აღსავსე.

პატარა დავითმა ადგილის დედა ადრე დატოვა და დედაქალაქის 55-ე საშუალო სკოლაში შევიდა.

ნათქვამია, „ჭეშმარიტი შემოქმედი თავიდანვე ლომის ბოკვერს შობს და არა კატის კნუტსაო“. საკავშირო საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელს, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ მიხეილ ბოტვინიკს ისე მოეწონა ჩვენი ძვირფასი თანამემამულის კომპოზიცია, რომ პირადად, საკუთარი რეკომენდაციით ჩააბარა პოპულარული „64“-ის საჭადრაკო მიმოხილვის რედაქციას. დასახელებული ნააზრევი ბრძენთა თამაშის მონარქს 1970 წელს ქართული საეტიუდო სკოლის მესაძირკვლემ, დიდოსტატმა გია ნადარეიშვილმა გააცნო.

„მაშინ თბილისის 55-ე საშუალო სკოლას ვამთავრებდი – ამბობს ბატონი დავითი – ჩემი, როგორც საჭადრაკო კომპოზიტორის, გვარი, არავის არაფერს ეუბნებოდა“.

ხსენებული ეტიუდის ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ ენდშპილის პაწია ეტიუდები სიამოვნებას ანიჭებენ არამარტო ჭადრაკის რიგით მოყვარულებს, არამედ „ძლიერთაც ამა ქვეყნისათა“.

დავით გურგენიძის საეტიუდო კომპოზიციების ხელოვნებას უდიდეს შეფასებას აძლევენ როგორც მსოფლიოს ჩემპიონები – ანატოლი კარპოვი და ბორის სპასკი, ისე ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატები, რომლებიც განსაკუთრებით ნამოღვაწარის ესთეტიკურ მხარეს გამოყოფენ და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას აღიარებენ.

XXI საუკუნეში, პოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქაში, როცა ადამიანები უსასრულოდ დავობენ ჭეშმარიტებასა და სამართალზე, ჭადრაკის ფენომენი ისე მკაფიოდ აღიქმება, რომ საეჭვოს აღარაფერს ტოვებს.

დავითისეული ეტიუდები უბრალოებითაა გამორჩეული, მაგრამ ამ უბრალოებაში სიბრძნე, სიდიადე და რეალობაა ჩაქსოვილი. ახლახან დიდოსტატი 67 წლისა შესრულდა. წინ ხანგრძლივი შემოქმედებითი და აღმზრდელობითი ეტაპია იმ ბარტყებთან ერთად, რომლებსაც იგი საქართველოსთვის აფრთიანებს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში.

**თამაზ შენგელია**

**I**

**სისტემური მოძრაობის ილუსტრაცია**
**„შახმატი ვ სსსრ“**
**I პრიზი, 1981**



1. g7 g8!
2. g6! g2!
3. g6x7 g7g2
4. g2-g1! g1g8
5. g7c4 g8g3
6. g1-g7! g2g8
7. g7d5 g3g4
8. g7-g7! g8g8
9. g7g6

1 g2g2 c2
2. g7g4 g8g6
3. g7g4+! g6g6
4. g1g2! g6g6
5. g2+ g6d5
6. g6c3 g6c4
7. g6d2

**II**

**ეტლი და პაიკი ეტლის წინააღმდეგ**
**„შახმატი“ (რიგა)**
**1972**



მოგება

I შენიშვნა: [illegible]

1. g6x7? g1x5! 2. g7 g5
3. g2c4 g8g2 4. g8d4 g8g3 5 g2e4 g8g4 6. g1g7 g8g3 7. g4x7 g3g4 8. g4d8x3 9. g1x1+ g8g2
10. g1x7 g8g3 11. g1x1 g8g2

ყაიმი

II შენიშვნა: [illegible]

3. g8g7+? g8g5
4. g1g2 g8e3 5. g2+ g8d4

## არდავიწყება

# ოთარ კოხია

გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, დიდებული მამულიშვილი **ოთარ კოხია**.

დაიბადა 1936 წლის 4 თებერვალს სენაკის რაიონის სოფ. ლეძაძამეში.

1954 წელს დაამთავრა ლეძაძამის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. აღნიშნული ფაკულტეტის სრული კურსი დაამთავრა 1959 წელს და მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, რისთვისაც ინსტიტუტის რექტორატის და დიდი სამეცნიერო საბჭოს წამახალისებელი სიგელები დაიმსახურა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მაშინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგზურით, გაიგზავნა ყაზახეთის რესპუბლიკის ყარაგანდის ოლქში ყამირ მიწებზე. მუშაობდა ხორბლის ამღები კომბაინის კომბაინერად.

1960 წელს მუშაობა დაიწყო ცხაკაიას სარემონტო ტექნიკურ სადგურში უბნის მექანიკოსად,. 1962 წლიდან აღნიშნული სადგურის „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოდ გადაკეთების შემდეგ მუშაობდა სარემონტო სახელოსნოს გამგედ. 1968 წლიდან მმართველის მოადგილედ, ხოლო 1971 წლიდან იქვე მთავარ ინჟინრად.

1972 წელს გადაიყვანეს ცხაკაიას სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად, 1975 წლიდან — კოლხიდის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის დირექტორად, 1977 წელს კი — ცხაკაიას მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს დირექტორად, სადაც იმუშავა თითქმის 10 წელი. 1972 წლიდან იყო ყველა მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატი, 1978 წლიდან — საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის ბიუროს წევრი. ამ პერიოდში მან სრულად გამოავლინა, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალპროფესიული სპეციალისტის და ხელმძღვანელის დიდი ორგანიზატორული ნიჭი. კოლხიდის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა და ცხაკაიას მეცხოველეობის საწარმო, რომლებიც წლების განმავლობაში დიდ ეკონომიკურ ზარალს განიცდიდნენ, მისი დირექტორობის დროს მომგებიანი, ეკონომიკურად ძლიერი საწარმოები გახდნენ.

კარგი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მან დაიმსახურა მთავრობის რამდენიმე ორდენი და მედალი. 1975-1986 წლებში ზედიზედ არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის 25-ე, 26-ე, 27-ე ყრილობების დელეგატად.

1986 წელს ოთარ კოხია გადაიყვანეს ცხაკაიას რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1992 წლის ოქტომბრამდე.

მისი უანგარო, ნაყოფიერი მუშაობა დიდად დააფასეს რაიონის მშრომელებმა, ინტელიგენციამ და 1992 წლის ოქტომბერში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად, როგორც დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი. საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში (1992-1995 წწ.) იყო სოფლის მეურნეობის კომისიის წევრი და ხელმძღვანელობდა მექანიზაციის ქვეკომისიას (იყო მისი თავმჯდომარე), აქტიურად მონაწილეობდა მთელი რიგი კანონპროექტების შედგენასა და განხილვაში.

მისი გონიერება და ენერგიული მუშაობა განსაკუთრებით გამომჟღავნდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისა და განხილვა-დამტკიცების დროს.

1995 წელს საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა თავის პირვანდელ სამუშაოს და 2005 წელს პენსიაში გასვლამდე მუშაობდა სენაკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსად, გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1994 წელს ოთარ კოხიამ გარკვეული მუშაობა გასწია სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის დაარსების საქმეში. იყო მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრორექტორი ადმინისტრაციულ-საფინანსო დარგში.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 ოქტომბრის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. 2009 წელს ოთარ კოხია აირჩიეს საზოგადოება „სენაკელის“ თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც დღემდე მუშაობდა.

ჰყავს 3 შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ოთარ კოხიას პიროვნება, მისი მამულიშვილობა და საქვეყნო ღვაწლი სამაგალითოა შთამომავლობისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

**ნოდარ ჭითანავა, ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, სპარტაკ ქოგულია, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ჯამგულ წულაია, დალი შაფათავა, მარინა კანდელაკი, გურამ მისაბიშვილი, გურამ ადანაია, ტარიელ დგებუაძე, ანზორ ცაგურია, მერაბ ფანცულაია, ტატული კეკელია, ავთანდილ გესელია, მამუკა ადამია, გია ადამია, გია მიქაია, ალან თოდუა, არმან თოდუა.**

## ხსოვნა

# ნელი ჯაფარიძე

81 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ქალთა კალათბურთის ნაკრების წევრი, საქართველოსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გოგონათა გუნდ „ქარიშხალას“ კაპიტანი, 1956-1968 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების არაერთგზის პრიზიორი, ქალთა კალათბურთის (საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია) საბჭოთა წარმომადგენელი, ჩვენი საზოგადოების ღირსეული და საამაყო წევრი **ნელი ჯაფარიძე**.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ქალბატონი ნელი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროში. თანამშრომლებს იგი ახსოვთ მეტად ყურადღებიანი, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანი. მთელი ცხოვრება ქალბატონმა ნელიმ ძმის, სოსოს შვილებსა და მათი შთამომავლების აღზრდასა და ცხოვრების გზაზე დაყენებას შეალია.

ბოლო დროს არ ივიწყებდა მშობლიურ შარდომეთს, რაჭის ულამაზეს სოფელს, სადაც უმეტეს დროს ატარებდა წინაპართა კერაზე.

ღმერთმა აცხონოს იმ ღირსეული, შესანიშნავი, ვალმოხდილი ქალბატონის სული.

ახლობლების სახელით
**სოსო გვაზავა, მალხაზ დოლიძე**

## სანთელი

# დარეჯან (ია) ჭანიშვილი-დოლიძის არდავიწყება

ჩვენო საყვარელო ადამიანო, მეუღლევ, დედიკო, ბებო 6 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან.

ძალიან გვიჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ შენ ჩვენთან არ ხარ.

ხშირად გიგონებენ და გვირეკავენ ნათესავები გურიიდან, იმერეთიდან, თბილისიდან, ასევე ყოფილი თანამშრომლები, ნათლულები და მეზობლები.

შენ ძალიან გულიანად ემსახურე ოჯახს, საზოგადოებას.

დღეს ამასვე აგრძელებენ შენი შვილები, შვილიშვილები, სასახელონი არიან ნამდვილად. უკვე გვყავს პატარა შვილთაშვილი, რომელსაც შენ მოუთმენლად ელოდი.

მთელი შენი დიდი ოჯახი პატივს სცემს შენს სახელს, შენს ნივთებს, შენს კუთხეს სახლში, შენს საფლავს. უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროს სასუფეველი ზეციურ საუფლოში.

**შენი მეუღლე,
შვილები და შვილიშვილები**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გაგი ელოშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგი ელოშვილი (პ/ნ 06001006604), ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21 (საკადასტრო კოდი: 01.16.03.006.041).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30158.50 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 5 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 19 ოქტომბერი, 14:00 საათზე.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67835020;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 678350

6. **მოვალე:** ქეთევან საფარაშვილი (პ/ნ 20001002538), ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21;

ლალი ბალაბანაშვილი (პ/ნ 01019023919), ქ. თბილისი, გვაზაურის ქ. №27/თბილისი, აფხაზეთის ქ. №21.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67835020; ლოტის ნომერი: 678350).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 19 ოქტომბრის 10:00 საათამდე.




# ღირსეულთა პატივგება

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის გადწყვეტილებით, გამოჩენილ ჟურნალისტს და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ **პაატა ნაცვლიშვილს** ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა **ნიკო ნიკოლაძის** სახელობის პრემია.

**სერგეი მესხის** სახელობის პრემიით დაჯილდოვდა ბატონი **დავით ჭელიძე,** რომლის პუბლიკაციები და საქმიანობა კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყანაში.

პროფესიაში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭა ბატონ **გოგიტა მელიქიძეს**.

ვულოცავთ სახელოვან კოლეგებს დიდ აღიარებას, ვუსურვებთ წარმატებებს, გამარჯვებებს, გულშემატკივართა ერთგულებას და სიმრავლეს!

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

# სამი ქართული ფილმი „ოსკარისთვის“ იბრძოლებს

წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ქართული ფილმი იბრძოლებს:

**„დასაწყისი“ – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი;**
**„უარყოფითი რიცხვები“ – რეჟისორი უტა ბერია;**
**„ურსუსი“ – რეჟისორი ოთარ შამათავა.**

წარმოდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატ ფილმს გამოავლენს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კომისიის წევრებისთვის კვალიფიციური ფილმების ჩვენება იგეგმება ოქტომბრის დასაწყისში. კანდიდატი ფილმის სახელი ცნობილი 10 ოქტომბრამდე გახდება.

ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# სახვითი ხელოვნებით გადმოცემული ისრაელის კულტურა

**თბილისის** სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გივი ყანდარელის სახელობის გობელენის მუზეუმში ცნობილი ისრაელელი მხატვრისა და მოქანდაკის **გენადი როიტიხის** გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის გრაფიკული ნამუშევრები და კერამიკული ფოტოინსტალაციები.

გამოფენის მხარდამჭერი იყო „ისრაელის სახლი“. ორგანიზაციის ხელმძღვანელის იციკ მოშეს თქმით, „ისრაელის სახლი“, AEPJ-ის ეგიდით, როგორც ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. გენადი როიტიხის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ებრაულ თემატიკას, ამიტომ ამ გამოფენის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ქართველი საზოგადოებისთვის სახვითი ხელოვნებით გადმოცებული ისრაელის კულტურის გაცნობა იყო.

მხატვარმა ისრაელიდან გამოფენაზე დასასწრებად ჩამოსვლა პანდემიისა და კარანტინის გამო ვერ მოახერხა, თუმცა პირდაპირი ჩართვით მიესალმა გამოფენის ორგანიზატორებს და მონაწილეებს. გამოფენის კურატორი ხელოვნებათმცოდნე მანანა გიგიბერია იყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი, ისრაელის ქნესეთის ყოფილი ვიცე-სპიკერი ხილიკ ბარი, მუსიკოსი ნიკოლოზ რაჭველი, სტუმრები ისრაელიდან.

გენადი როიტიხი – გამოჩენილი მხატვარი და მოქანდაკე მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, რომელიც მონაწილეობს სოლო თუ სხვა მრავალ ჯგუფურ გამოფენაში ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. როიტიხის ქანდაკება „მემორანდუმ 10“ აღმართულია ისრაელის პარლამენტში – ქნესეთში.

როიტიხი უკრაინაში დაიბადა 1949 წელს. 1994 წელს ისრაელში ემიგრირდა. მას პროფესიული განათლება საქართველოში აქვს მიღებული. 1972 წელს დაამთავრა სოხუმის სამხატვრო სასწავლებელი, 1977 წელს – თბილისის სამხატვრო აკადემია.

# პრინტერზე დაბეჭდილი საცხოვრებელი სახლი



**გერმანიის ჩრდილოეთით, ქალაქ ბეკუმში ბეტონის საცხოვრებელ სახლს 3D პრინტერზე ბეჭდავენ. ორსართულიანი სახლი ერთ ოჯახზეა გათვლილი, მისი ფართობი 160 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მშენებლობისთვის სპეციალური ბეტონი გამოიყენება. თითო ფენის სისქე რამდენიმე სანტიმეტრს არ აღემატება.**

პროექტს ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს, რომელმაც სამშენებლოდ 200 ათასი ევრო გამოყო. მანამდე ასეთი სახლები აშშ-სა და ბელგიაში უკვე ააშენეს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 3D-ტექნოლოგიის გამოყენება ნაგებობების აშენების პროცესს დაჩქარებს და რესურსების ეკონომიას შეუწყობს ხელს, თუმცა ამ საკითხზე ზუსტი დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა.

# დედამიწის მცენარეების 2/5-ს გადაშენება ემუქრება

**კვლევა 42 ქვეყნის 200-ზე მეტმა სპეციალისტებმა ჩაატარა. საკუთარი დასკვნა მათ გაეროს სამიტის გახსნის დღეს გამოაქვეყნეს, რომელზეც მსოფლიო ლიდერები დედამიწის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობაზე ისაუბრებენ.** სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გადაჭარბებული მოხმარების გამო გადაშენების რისკის ქვეშ 723 მცენარეა, რომლებსაც წამლების დასამზადებლად იყენებენ. 2019 წელს კი მეცნიერებმა მცენარეების 1 943 და სოკოების 1 886 ახალი სახეობა აღმოაჩინეს, მათ შორის ისეთების, რომლებიც შესაძლოა, საკვების, სასმელის და მედიკამენტების დასამზადებლად გამოვიყენოთ. **„დროსთან რბოლას ვაგებთ. სახეობები იმაზე სწრაფად ქრება, ვიდრე ჩვენ მათ აღმოჩენას და სახელის დარქმევას ვასწრებთ. ბევრ მათგანში შესაძლოა, მნიშვნელოვანი მინიშნება არსებობდეს მედიცინის ყველაზე აქტუალური გამოწვევების დასამარცხებლად“,** – აცხადებს Kew-ს პროფესორი ალესანდრე ანტონელი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 6 ოქტომბერს**


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1988; ევრო - 3.7560;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1060;
100 რუბლი - 4.1413; თურქული ლირა - 0.4131;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8830;
1000 სომხური დრამი - 6.5479.

**ამინდი 3 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +25 |
| **თბილისი:** | ღამე | +15, | დღე | +23 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge